დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლანა ყურაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
2. ნინო ხუტილაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
3. ხათუნა საყვარელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
4. მარგარიტა ჯიქია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
5. ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
6. გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
7. თინათინ გიორგაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
8. თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
9. კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
10. ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237102185

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ოზურგეთი, სოფელი დვაბზუ
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dvabzu@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599923111

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**2025 წლის 15 ივლისის N** MES 8 25 0000000N/A
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 21-22 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ოზურგეთი. სოფელი დვაბზუ/1(ერთი შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ოზურგეთი. სოფელი დვაბზუ/1(ერთი შენობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ოზურგეთი. სოფელი დვაბზუ/1(ერთი შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 21 და 22 აგვისტოს **სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლაში** განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 215 ----------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

[1] გარდ. მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2025 წლის 15 დეკემბერი - უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ წერილობითი დასტურის მიღება. სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2026 წლის 04 მარტი - უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება. სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2026 წლის 04 მარტი - უზრუნველყოს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა. სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2026 წლის 15 იანვარი - უზრუნველყოს ეზოში მდებარე ძველი, დამხმარე შენობის დემონტაჟის განხორციელება.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სასურველია, სტრატეგიულ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების საქმიანობა დოკუმენტირდეს საოქმო ჩანაწერებით.
ინდიკატორი 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სასურველია, გადაიხედოს მისია, ხედვა ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელიც ეხება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცებას, სასურველია ფორმულირების დაზუსტება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სასურველია, მასწავლებლის გარდა სკოლაში სხვა პირების აყვანის საკითხი სკოლამ განსაზღვროს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ხოლო ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტში დაემატოს ექთნის შეფასების კრიტერიუმები. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და შესაბამისობაში მოვიდეს შრომით ხელშეკრულებებსა და შინაგანაწესში მოცემული ინფორმაცია ხელფასის გაცემის თარიღთან დაკავშირებით. ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს - პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტში ასახული ინფორმაცია.

ინდიკატორი N3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სასურველია მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლამ საკუთარი პრაქტიკა ასახოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და დააკონკრეტოს ინტერვენციული გზები, როგორ მოახდენს თანამშრომლეთა ფუნქციების დელეგირებას.
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სასურველია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი მოვიდეს შესაბამისობაში საშტატო შემადგენლობასთან. მაგალითად - დოკუმენტში მითითებული ადმინისტრატორის პოზიცია, რომელიც სკოლის საშტატო განრიგით არ არის წარმოდგენილი. ასევე, სასურველია, დაემატოს ასისტენისა და ცეცხლფარეში საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ინდიკატორი N3.1.2.6	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	სასურველია, სკოლამ წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი დოკუმენტის სახით წარმოადგინოს.
ინდიკატორი N3.2.1.5	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.	სასურველია, სკოლამ მომდევნო სასწავლო წლიდან, სკოლის პრაქტიკა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების შესახებ, მექანიზმის სახით ასახოს პოლიტიკის დოკუმენტში.
ინდიკატორი N3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სასურველია, დამხარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია დოკუმენტში სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან	სასურველია, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთოების სპეციალისტი. სასურველია, უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს მიერ.

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.1.3	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	სასურველია, სკოლამ რემედიაციის დებულებაში ასახოს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის ძირითადი პრინციპები, მიდგომები და მექანიზმი.
ინდიკატორი N4.2.1.5	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	სასურველია, სკოლამ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი გაწეროს დოკუმენტის სახით.

ინდიკატორი N4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სასურველია, სკოლამ განსაზღვროს აღნიშნული ფუნქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი და შეიმუშავოს მექანიზმი.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N. 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**უცხო ენები** - სასურველია მუშაობის დაგეგმვისას, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება** - სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა; ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები)ასევე სპეციალურად შემუშავებული რესურსები, რასაც თავად იყენებენ სასწავლო პროცესში:დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღმწერები და ა. შ. **ესთეტიკური აღზრდა** - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების სვეტში თემასთან და საკითხთან მიმართებაში არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან გვერდები. ასევე, ზოგიერთი თემის დამუშავებისას გაურკვეველია რა რესურსით

		სარგებლობენ პედაგოგები, სასურველია, გაითვალისწინოთ, დეტალურად ჩაშლილი კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ყველა ველი. **უცხო ენები** - სასურველია, კათედრამ გააძლიეროს რესურსების მრავალფეროვნება პროექტული დავალებების დაგეგმვისას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია **ყველა საგანში,** შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. **ესთეტიკური აღზრდა** - შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. სასურველია, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაკონკრეტდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება** - სასურველია, კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	**ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადეობა** - სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს).

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ შეიმუშავოს კურიკულუმის შესავსები ერთი ფორმა, მცირედ განსხვავებული შეიძლება იყოს ,,მე და საზოგადოების“ დაწყებითი საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე. სასურველია სამიზნე ცნებების გასწვრივ იკითხებოდეს საკითხები, რომლებიც მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნების ფარგლებში; სასურველია წარმოდგენილი შესასრულებელი დავალების იდეებშიც გამოკვეთილი იყოს რომელი სამიზნე ცნებებები მუშავდება ან საფეხურის რომელ მისაღწევ შედეგს მიემართება მოცემული დავალება.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს ისეთი დავალებების იდეები, რომლებიც საგნობრივ ჭრილში ავსებდნენ ერთმანეთს და იძლეოდნენ ინტეგრირებული სწავლების დაგეგმვის შესაძლებლობას მოსწავლეთა თვალსაწიერის გასაფართოებლად და საგნობრივი სწავლების პირობითი საზღვრების შესამცირებლად.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საბაზო საფეხური* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N. 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**უცხო ენები** - სასურველია მუშაობის დაგეგმვისას, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი.

2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სახელმწიფო ენა** -კურიკულუმში უმეტესად მითითებულია პასიური რესურსები (ვიდეო, ფილმი), რაც ნაკლებად აძლევს მოსწავლეს ინტერაქციის საშუალებას. სასურველია, გაამრავალფეროვნოთ რესურსების ნუსხა. ჩართეთ ვირტუალური ტურები (მაგ. მუზეუმებში), ონლაინ თამაშები, ინტერაქტიური ქვიზები ან პლატფორმები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თავად შექმნან კონტენტი ან გამოსცადონ ცოდნა. **ესთეტიკური აღზრდა** - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების სვეტში თემასთან და საკითხთან მიმართებაში არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან გვერდები. ასევე, ზოგიერთი თემის დამუშავებისას გაურკვეველია რა რესურსით სარგებლობენ პედაგოგები, სასურველია, გაითვალისწინოთ, დეტალურად ჩაშლილი კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ყველა ველი. **უცხო ენები** - სასურველია, კათედრამ გააძლიეროს რესურსების მრავალფეროვნება პროექტული დავალებების დაგეგმვისას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სახელმწიფო ენა**- შეფასების რუბრიკები ერთიანია ყველა მოსწავლისთვის. არ ჩანს, როგორ ხდება შეფასების კრიტერიუმების ან ქულების მოდიფიცირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (სსსმ) ან განსხვავებული აკადემიური მიღწევების მოსწავლეებისთვის. სასურველია, შექმნათ დიფერენცირებული შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი რუბრიკები ძირითადად აფასებს საბოლოო პროდუქტს (ესე, დებატები). ნაკლებად ჩანს, როგორ ფასდება მოსწავლის პროცესში ჩართულობა, თანამშრომლობა, მონდომება, ანუ ის არაფორმალური უნარები, რომლებიც ესგ-ს მიზნებს ემსახურება. სასურველია, შექმნათ ცალკე რუბრიკა ან დაამატოთ არსებულს სვეტი, რომელიც შეაფასებს პროცესს. მაგალითად, „ინფორმაციის მოძიება“, „თანამშრომლობა ჯგუფში“, „დროის მართვა“ და ა.შ. **ესთეტიკური აღზრდა** - შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე

		ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. სასურველია, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაკონკრეტდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია საზოგადოებრივ მეცნიერებებში კურიკულუმის დაგეგმვის შეფასების ნაწილში და განხორციელებული კურიკულუმის შეფასების ნაწილში კათედრამ მკაცრად იხელმძღვანელოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა** - მიუხედავად იმისა, რომ YouTube ვიდეოები კარგი დამხმარე რესურსია, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები: ლიტერატურულ კონტექსტზე და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, დავალებებში უფრო მკვეთრად გამოჩნდეს კავშირი რეალურ ცხოვრებასთან; თემები და საკითხები ძირითადად ლიტერატურულ ნაწარმოებებს ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დავალება (მაგ. „ეკოლოგიური პრობლემები“ მე-8 კლასში) უკავშირდება რეალობას, შესაძლებელია, ეს კავშირი უფრო მეტად

		გაღრმავდეს. დაამატეთ დავალებები, რომლებითაც მოსწავლეები დაუკავშირებენ ნასწავლ ცოდნას მათ ყოველდღიურ გამოცდილებასთან. კურიკულუმში ნაკლებად ჩანს არჩევანის შესაძლებლობა და განსხვავებული დავალებები სხვადასხვა აკადემიური მიღწევებისა და შესაძლებლობების მოსწავლეებისთვის. სასურველია, შესთავაზოთ არჩევითი დავალებები, ასევე, დავალების შესრულების ალტერნატიული გზები. **ესთეტიკური აღზრდა** - სასურველია მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანებში გადაიხედოს კურიკულუმები და გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი,რესურსები, რაც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ შეიმუშავოს საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შესავსები ერთი ფორმა; სასურველია სამიზნე ცნებების გასწვრივ იკითხებოდეს საკითხები, რომლებიც მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნების ფარგლებში; სასურველია წარმოდგენილი შესასრულებელი დავალების იდეებშიც გამოკვეთილი იყოს რომელი სამიზნე ცნებებები მუშავდება ან საფეხურის რომელ მისაღწევ შედეგს მიემართება მოცემული დავალება.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა** - კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის, ან როგორ ხდება თანატოლთა შორის მხარდაჭერის ხელშეწყობა. მასწავლებლის როლი დიფერენცირებული დაგეგმვისა და სწავლების პროცესში გადამწყვეტია.

2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა** - სისტემა რომ იყოს სამართლიანი ყველა მოსწავლისთვის და ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ მიდგომებს, სასურველია, დაამატოთ მითითებები, თუ როგორ უნდა მოხდეს შეფასების კრიტერიუმების ადაპტირება სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შესაბამისად. ასევე, შექმენით დიფერენცირებული რუბრიკები, რომლებშიც ნათლად იქნება მოცემული, რა არის მინიმალური მოლოდინი, რა არის საშუალო და რა არის მაღალი დონე, რათა შეფასება იყოს სამართლიანი ყველა მოსწავლის მიმართ. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია სასკოლო პრაქტიკის დონეზე ბრძანების #2-12 ერთგვაროვნად და სრულყოფილად, საბაზო საფეხურის სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან ერთად აღსრულება.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, გაიწეროს დამხმარე რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის პროცედურა. მაგალითად: შექმენით სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს ახალ დამხმარე რესურსებს; განსაზღვრეთ ვალიდაციის კრიტერიუმები (მაგ., შესაბამისობა ესგ-სთან, ავტორიტეტულობა, ტექნიკური გამართულობა, ინკლუზიურობის პრინციპების დაცვა). სასურველია, დანერგოთ პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს (და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც) შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს ისეთი დავალებების იდეები, რომლებიც საგნობრივ ჭრილში ავსებდნენ ერთმანეთს და იძლეოდნენ ინტეგრირებული სწავლების დაგეგმვის შესაძლებლობას მოსწავლეთა თვალსაწიერის გასაფართოებლად და საგნობრივი სწავლების პირობითი საზღვრების შესამცირებლად.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საშუალო საფეხური* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N. 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**უცხო ენები** - სასურველია მუშაობის დაგეგმვისას, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სახელმწიფო ენა** - კურიკულუმში უმეტესად მითითებულია პასიური რესურსები (ვიდეო, ფილმი), რაც ნაკლებად აძლევს მოსწავლეს ინტერაქციის საშუალებას. სასურველია, გაამრავალფეროვნოთ რესურსების ნუსხა. ჩართეთ ვირტუალური ტურები (მაგ. მუზეუმებში), ონლაინ თამაშები, ინტერაქტიური ქვიზები ან პლატფორმები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თავად შექმნან კონტენტი ან გამოსცადონ ცოდნა. **ესთეტიკური აღზრდა** - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების სვეტში თემასთან და საკითხთან მიმართებაში არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან გვერდები. ასევე, ზოგიერთი თემის დამუშავებისას გაურკვეველია რა რესურსით სარგებლობენ პედაგოგები, სასურველია, გაითვალისწინოთ, დეტალურად ჩაშლილი კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ყველა ველი. **უცხო ენები** - სასურველია, კათედრამ გააძლიეროს რესურსების მრავალფეროვნება პროექტული დავალებების დაგეგმვისას.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სახელმწიფო ენა** - შეფასების რუბრიკები ერთიანია ყველა მოსწავლისთვის. არ ჩანს, როგორ ხდება შეფასების კრიტერიუმების ან ქულების მოდიფიცირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (სსსმ) ან განსხვავებული აკადემიური მიღწევების მოსწავლეებისთვის. სასურველია, შექმნათ დიფერენცირებული შეფასების რუბრიკები.

		წარმოდგენილი რუბრიკები ძირითადად აფასებს საბოლოო პროდუქტს (ესე, დებატები). ნაკლებად ჩანს, როგორ ფასდება მოსწავლის პროცესში ჩართულობა, თანამშრომლობა, მონდომება, ანუ ის არაფორმალური უნარები, რომლებიც ესგ-ს მიზნებს ემსახურება. სასურველია, შექმნათ ცალკე რუბრიკა ან დაამატოთ არსებულს სვეტი, რომელიც შეაფასებს პროცესს. მაგალითად, „ინფორმაციის მოძიება“, „თანამშრომლობა ჯგუფში“, „დროის მართვა“ და ა.შ. **ესთეტიკური აღზრდა** - შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. სასურველია, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაკონკრეტდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია საზოგადოებრივ მეცნიერებებში კურიკულუმის დაგეგმვის შეფასების ნაწილში და განხორციელებული კურიკულუმის შეფასების ნაწილში კათედრამ მკაცრად იხელმძღვანელოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა** - მიუხედავად იმისა, რომ YouTube ვიდეოები კარგი დამხმარე რესურსია, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები).

		სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები: ლიტერატურულ კონტექსტზე და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, დავალებებში უფრო მკვეთრად გამოჩნდეს კავშირი რეალურ ცხოვრებასთან; თემები და საკითხები ძირითადად ლიტერატურულ ნაწარმოებებს ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დავალება უკავშირდება რეალობას, შესაძლებელია, ეს კავშირი უფრო მეტად გაღრმავდეს. დაამატეთ დავალებები, რომლებითაც მოსწავლეები დაუკავშირებენ ნასწავლ ცოდნას მათ ყოველდღიურ გამოცდილებასთან. კურიკულუმში ნაკლებად ჩანს არჩევანის შესაძლებლობა და განსხვავებული დავალებები სხვადასხვა აკადემიური მიღწევებისა და შესაძლებლობების მოსწავლეებისთვის. სასურველია, შესთავაზოთ არჩევითი დავალებები, ასევე, დავალების შესრულების ალტერნატიული გზები. **ესთეტიკური აღზრდა** - სასურველია მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანებში გადაიხედოს კურიკულუმები და გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი,რესურსები, რაც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს საშუალო საფეხურისთვის კურიკულუმის შესავსები ერთი ფორმა, სასურველია სამიზნე ცნებების გასწვრივ იკითხებოდეს საკითხები, რომლებიც მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნების ფარგლებში; სასურველია წარმოდგენილი შესასრულებელი დავალების იდეებშიც გამოკვეთილი იყოს რომელი სამიზნე ცნებებები მუშავდება ან საფეხურის რომელ მისაღწევ შედეგს მიემართება მოცემული დავალება.

2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა** - კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის, ან როგორ ხდება თანატოლთა შორის მხარდაჭერის ხელშეწყობა. მასწავლებლის როლი დიფერენცირებული დაგეგმვისა და სწავლების პროცესში გადამწყვეტია.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა** - სისტემა რომ იყოს სამართლიანი ყველა მოსწავლისთვის და ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ მიდგომებს, სასურველია, დაამატოთ მითითებები, თუ როგორ უნდა მოხდეს შეფასების კრიტერიუმების ადაპტირება სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შესაბამისად. ასევე, შექმენით დიფერენცირებული რუბრიკები, რომლებშიც ნათლად იქნება მოცემული, რა არის მინიმალური მოლოდინი, რა არის საშუალო და რა არის მაღალი დონე, რათა შეფასება იყოს სამართლიანი ყველა მოსწავლის მიმართ.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, გაიწეროს დამხმარე რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის პროცედურა. მაგალითად: შექმენით სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს ახალ დამხმარე რესურსებს; განსაზღვრეთ ვალიდაციის კრიტერიუმები (მაგ., შესაბამისობა ესგ-სთან, ავტორიტეტულობა, ტექნიკური გამართულობა, ინკლუზიურობის პრინციპების დაცვა). სასურველია, დანერგოთ პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს (და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც) შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.

2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს ისეთი დავალებების იდეები, რომლებიც საგნობრივ ჭრილში ავსებდნენ ერთმანეთს და იძლეოდნენ ინტეგრირებული სწავლების დაგეგმვის შესაძლებლობას მოსწავლეთა თვალსაწიერის გასაფართოებლად და საგნობრივი სწავლების პირობითი საზღვრების შესამცირებლად.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას:

სკოლას დახარვეზებული ჰქონდა ინდიკატორი N3.4.1.1. - სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში):

- სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ გაცემული დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური;
- სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან;
- სკოლას არ ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- სკოლის ეზოში მდებარე ძველი, დამხმარე შენობის დემონტაჟი არ იყო განხორციელებული.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა ზემოთ დასახელებულ საკითხებს მოაწესრიგებს მოცემულ ვადებში:

- 2025 წლის 15 დეკემბერი - უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ წერილობითი დასტურის მიღებას;
- 2026 წლის 04 მარტი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებას;
- 2026 წლის 04 მარტი - უზრუნველყოფს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვას;
- 2026 წლის 15 იანვარი - უზრუნველყოფს ეზოში მდებარე ძველი, დამხმარე შენობის დემონტაჟს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი რჩება მეტწილ დშესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისია განმარტავს, რომ მოსწავლეები სკოლაში შექმნილ პოზიტიურ და უსაფრთხო გარემოში აღიზრდებიან თავისუფალ, კრიტიკულად მოაზროვნე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნებებად. ხედვაში ყურადღება მახვილდება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსწავლეების მომზადებაზე, პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, თანამედროვე საზოგადოებაში ადაპტაციასა და ცხოვრების დინამიურ მოთხოვნებთან მზაობაზე.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიითა და ხედვით ხაზგასმულია, რომ სკოლაში არსებულ პოზიტიურ და უსაფრთხო სასწავლო გარემოში განხორციელდება სოციალურად და პიროვნულად ჩამოყალიბებული მოქალაქეების აღზრდა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალური გამოვლენის გზით, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ, განივითარონ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და შეიძინონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, როგორიცაა: თითოეული ადამიანის უნიკალურობის აღიარება, დაფასება, უსაფრთხოება, თანამშრომლობა, იდეების გაზიარება და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის პატივისცემა.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტი შემუშავებულ სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. საპროექტო განაცხადი წარდგენილ იქნა იქნა სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან (თვითმმართველობის წარმომადგენლებთან), მშობლებთან მშობელთა კრებებზე, დახურული კლასის სოციალურ ქსელებში და მსჯელობის შედეგად შემუშავდა წარმოდგენილი მისია, ხედვა, ღირებულებები. აღნიშნული დასტურდება როგორც საოქმო ჩანაწერებით, ასევე სტრატეგიული ჯგუფის წევრებთან გასაუბრებითაც, რომელთაც დაადასტურეს თემის მაღალი ინტერესი სკოლისადმი, მიკუთვნებულობისა და ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სასურველია, სტრატეგიულ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების საქმიანობა დოკუმენტირდეს საოქმო ჩანაწერებით.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტის გაზირება განხორციელდა პედსაბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მოსწავლეებთან მშობლებთან მშობელთა კრებებზე, დახურული კლასის სოციალურ ქსელებში.

ინდიკატორი შესაბამისია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ოფიციალურ გვერდზე, სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი შესაბამისია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება "სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლა" სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა).
ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია - მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლისთვის სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის აუცილებელი პრინციპები, მეთოდები და პროცედურები. მეთოდოლოგია განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფების შექმნის, სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობის საკითხს.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სასურველია, გადაიხედოს მისია, ხედვა ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელიც ეხება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცებას, სასურველია ფორმულირების დაზუსტება.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას აქვს შვიდწლიანი 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 6 სექტემბრის #2 ოქმით. სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსების განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია. აღნიშნულ მიმართულებებს მოჰყვებათ შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზისას დგინდება, რომ გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას აქვს 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 6 სექტემბრის #2 ოქმით. სამოქმედო გეგმა გაწერილია შემდეგი ძირითადი მიმართულებით: სასწავლო პროცესისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, სადაც გამოყოფილია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის მიმართულება; ორგანიზაციული განვითარება. ერთწლიანი გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ძირითად ორიენტირებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში, თითოეული აქტივობის შესაბამისად, მოცემულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბერის #2 ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 4 სექტემბრის #1 ოქმი;
- 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმეგო გეგმა;
- 2024-2031 წლების 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მოცემულია ინფორმაცია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შესახებ, რა მეთოდოლოგიით მოხდება მონიტორინგი და შეფასება, ვინ ახორციელებს მონიტორინგს, რა ინსტრუმენტებით, რა პერიოდულობით და რისთვის გამოიყენება მიღებული შედეგები.
ინდიკატორი შესაბამისია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება არის სისტემური და რეგულარული პროცესი.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება როგორც შიდა (სამეურვეო საბჭო, სხვა სტრუქტურული ერთეულები/პასუხისმგებელი პირები), ასევე გარე (სასკოლო საზოგადოება, დაინტერესებული მხარეები) ჩართულობით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას ტარდება გამოკითხვები, ინტერვიუები. დოკუმენტი ხაზს უსვამს თანამონაწილეობას: სტრატეგიული დაგეგმვა და მონიტორინგი ხორციელდება სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელშიც მონაწილეობენ სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.ანგარიშები და შეფასების შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე, ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელებითა და საჯარო განხილვებით.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე მათი შესრულების ანგარიშები, საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის სხვადასხვა არხით (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა და სხვ.), რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში:
ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე მუშავდება გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი და ეს ინფორმაცია გამოიყენება ახალი სამოქმედო გეგმის/გეგმების განსაზღვრაში.
მაგალითად, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს ანალიზი, რომლის საფუძველზეც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და განვითარების პერსპექტივების გამოვლენა, ასევე ცვლილებების საჭიროებების განსაზღვრა. შედეგები გამოიყენება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის., ხოლო მონიტორინგისა და შეფასების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

ამ შედეგების საფუძველზე შესაძლებელია სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება, ანუ მიღებული გამოცდილება და შეფასება პირდაპირ აისახება სკოლის მომავალ გეგმებსა და განვითარებაზე.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სქემატურად გამოსახული სკოლის სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის წესდებით განსაზღვრულ ორგანიზაციულ მოწყობასთან და აჩვენებს ურთიერთმიმართებას სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის.

სკოლის დირექტორის მ/შ 2025 წლის 7 მარტის #2-24 ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის, სსსმ პირის ასისტენტის, ენისა და მეტყველების სპეციალისტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, საინფორმაციო მენეჯერის, სკოლის ექთანი, დარაჯის, დამლაგებლის, ცეცხლფარეშის ფუნქციები. ამავდროულად, ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლითაც დასტურდება პერსონალის მიერ საკუთარი ფუნქციების გაცნობის ფაქტი.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიგრამის, სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირები ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის, ხელშკრულებაში გაწერილი ფუნქციების, საშტატო განრიგის გათვალისწინებით და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება.

სტრატეგიული განვითარების გეგმით და სამოქმედო გეგმით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხი. სკოლაში წარმოდგენილია ანგარიშვალდებულების სისტემა მაგალითად, დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს.

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სკოლაში შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის საკითხებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები

- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
- დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდამარეგულირებელი აქტების საშუალებით სკოლის შინაგანაწესით, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით, სკოლის წესდებით.

სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და განსაზღვრავს მართვის პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს. დოკუმენტში გაწერილია სკოლაში კვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევის მექანიზმი, მასწავლებლის კონკურსის ჩატარების წესი, საკონკურსო კომისიის შექმნის წესი, პროფესიული და კარიერული განვითარების შესაძლებლობები, პერსონალის სოციალიზაციის, შეფასების, მოტივირება-წახალისების გზები.

სკოლას დირექტორის 2025 წლის 5 მარტის #2-06 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები

სკოლას დირექტორის 2025 წლის 6 მარტის #2-18 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა:
მასწავლებლის გარდა სკოლაში სხვა პირების აყვანის საკითხი სკოლამ განსაზღვროს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.
ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტში განისაზღვროს ექთნის შეფასების კრიტერიუმები.
სასურველია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და შესაბამისობაში მოვიდეს შრომით ხელშეკრულებებსა და შინაგანაწესში მოცემული ინფორმაცია ხელფასის გაცემის თარიღთან დაკავშირებით.

ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს - პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტში ასახული ინფორმაცია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპი გულისხმობს პრევენციაზე დაფუძნებულ დაგეგმვასა და მართვას, რომლითაც მხარდაჭერილია სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობისა და მხარდაჭერის საკითხი. დოკუმენტით განსაზღვრულია ახალი საშტატო ერთეულის საჭიროების საკითხები. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა, როგორც მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის არყოფნის შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. სკოლაში წარმოდგენილია შეცვლა-გაცდენების ჟურნალი. მასწავლებლის არყოფნისას, უპირატესობა ენიჭება იმავე კათედრის ან მომიჯნავე კათედრის მასწავლებლს.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სასურველია, მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლამ საკუთარი პრაქტიკა ასახოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და დააკონკრეტოს ინტერვენციული გზები, როგორ მოახდენს თანამშრომლეთა ფუნქციების დელეგირებას.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლა მასწავლებლის შერჩევას, კადრების მოზიდვასა და დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად პერსონალის შერჩევა-მიღების წესი. სკოლაში პერსონალის საჭიროების განსაზღვრის შემდეგ იქმნება საკონკურსო კომისია და ტარდება ღია კონკურსი. ტარდება ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფების სხდომები, რომელიც დასტურდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერებით. მასწავლებელთა კონკურსის პროცესში ჩართულნი არიან კანონმდებლობით გათვალისწინებული პირები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებლის სახლის, საგამანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, პროფესიული კავშირისა და

დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტები. შერჩეულ კანდიდატთან ფორმდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულება.

ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობები :

- ნასამართლობის შესახებ
- საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 [1] -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“
- საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. (იმ პერსონალის შემთხვევაში, რომელიც მიღებულია სკოლაში 2020 წლის ივლისის შემდგომ პერიოდში)

დოკუმენტაცია შესაბამისია კანომდებლობასთან.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 22 მასწავლებელი, ამათგან 5 წამყვანი და 15 უფროსი მასწავლებელი, 1 მაძიებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 მტუკი, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ბუღალტერი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ცეცხლფარეში (სეზონურად) , 1 ექთანი, 1 სსსმ პირის ასისტენტი, სოცილაური დასაქმების პროგრამის ფარგლებში 1 მეეზოვე.

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას.

სკოლას სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 მარტის #2-05 ბრძანებით შემუშავებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი დირექტორის მოადგილის, მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის, მოწვეული, შემცვლელი და უცხოელი მასწავლებლების, მასწავლებლობის მაძიებლის, ბუღალტრის, ფსიქოლოგის, ექიმის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, დამლაგებლის, დარაჯის, საინფორმაციო მენეჯერის, IT სპეციალისტის, ადმინისტრატორის, ასისტენტის, ექთნის, ცეცხლფარეშის, მეეზოვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას აღნიშნულ დოკუმენტში არ აქვს გაწერილი ასისტენტის და ცეცხლფარეშის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პირად საქმეში წარმოდგენილი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სასურველია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი მოვიდეს შესაბამისობაში საშტატო შემადგენლობასთან. მაგალითად - დოკუმენტში მითითებული ადმინისტრატორის პოზიცია, რომელიც სკოლის საშტატო განრიგით არ არის წარმოდგენილი. ასევე, სასურველია, დაემატოს ასისტენისა და ცეცხლფარეში საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც ასახავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს: მისია, ხედვა, ღირებულებებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მასწავლებლის/პერსონალის შერჩევის პროცედურა, კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.
ინდიკატორი შესაბამისია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის პრაქტიკით წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება სოციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსებით, სხვადასხვა შეხვედრებზე აღნიშნული ინფორმაციის წარდგენით, რომლითაც სკოლა ახდენს მასწავლებელთა და პერსონალის შრომის დაფასებასა და სასკოლო საზოგადოების წინაშე მათ აღიარებას.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი დოკუმენტის სახით წარმოადგინოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის პედაგოგთა შესარჩევი კონკურსის მასალები,
- სკოლასა და თანამშრომელს შორის დადებული ხელშეკრულებები;
- სკოლის მიერ განთავსებული ინფორმაცია ვაკანსიის გამოცხადების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, მუხლი 19. განსაზღვრულია შესრულებული სამუშაოს შეფასების საკითხები და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები -მუხლი 20. ასევე, სკოლას დირექტორის 2025 წლის 5 მარტის #2-06 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით გათვალისწინებულლია პერსონალთან (მასწავლებლებთან) შეხვედრები, სადაც ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. პერსონალი ავსებს სემესტრულად თვითშეფასების ფორმას. სკოლაში წარმოდგენიალია კრიტიკული მეგობრისა და უკუკავშირის მიცემის პრაქტიკა. ანალიზის შედეგად მუშავდება პროფესიული მხარდაჭერის გეგმა, რომელიც აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.
ინდიკატორი შესაბამისია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პერსონალის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში მოცემული მექანიზმის საფუძველზე ანგარიშების, თვითშეფასების, უკუკავშირების ანალიზებზე დაფუძნებით, სკოლის დირექტორი ქმნის გეგმას, რაც აისახება ერთწლიან გეგმაში - თავი 2 - ადამიანური რესურსის განვითარება.

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა და პერსონალის გადამზადებებს საჭიროებების მიხედვით, რომელიც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი შესაბამისი სერტიფიკატებით.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. მასწავლებლები ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში. სკოლაში წარმოდგენილია სულ 22 მასწავლებელია, ამათგან 15 უფროსი და 5 წამყვანი მასწავლებელი, 1 მაძიებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი. სკოლა ხელს უწყობს მათ წარდგენას კარიერული წინსვლის გზაზე. წარმოდგენილი დოკუმენტების ძირითადი მიზნები და აქტივობები მიმართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე, რაც პირდაპირ კავშირშია მათ კარიერულ ზრდასთან.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას დირექტორის 2025 წლის 6 მარტის #2-18 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულების სწრაფი ადაპტაციისა და გუნდში ინტეგრაციის მექანიზმი.

სკოლას აქვს პრაქტიკა, რომლითაც სკოლის პერსონალი მაქსიმალურად კომფორტულ გარემოს უქმნის ახლადმიღებულ თანამშრომლებს. აცნობენ სასკოლო კულტურას, რეგულაციებს, სამუშაო გარემოს და ცდილობენ მხარდამჭერი გარემოს უზურნველყოფას. აღნიშნული დაადასტურეს მასწავლებლემა და სკოლის დირექტორმა.

ინდიკატორი შესაბამისია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა ინიციატივების განხორციელებას პროფესიული განვითარების მიმართულებით. სკოლის პრაქტიკა - პირი წარადგენს ინიციატივას დირექტორთან ზეპირსიტყვიერად, დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში, დირექტორი ინიციატორს სთხოვს წერილობითი ფორმით ინფორმაციის წარმოდგენას, რომელსაც ინიციატორი წარადგენს პედაგოგიურ საბჭოზე, რომ მიიღოს მხარდაჭერა. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა სკოლის დირექტორმა და მასწავლებლებმა.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ მომდევნო სასწავლო წლიდან, სკოლის პრაქტიკა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების შესახებ, მექანიზმის სახით ასახოს პოლიტიკის დოკუმენტში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის - ესქულის ბაზა;
- პერსონალთა ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 მარტის #2-09 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს და ორიენტირებულია შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებასა და მუდმივ განვითარებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის წესით განსაზღვრულია პროცესული მიდგომა: რისკების შეფასება, სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, მონიტორინგის განხორციელება.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია: მმართველობით პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; დამხმარე პროცესები.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სასურველია, დამხარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია დოკუმენტში სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 მარტის #2-04 ბრძანებით დამტკიცებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა. აღნიშნული დოკუმენტი იცავს თითოეული მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლება, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. აღნიშნული დოკუმენტი ატვირთულია სკოლის განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 მარტის #2-13 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს თითეული მათგანის უფლებებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- განცხადების/საჩივრის განხილვის დოკუმენტი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- საინფორმაციო დაფა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 01 აგვისტოს #2-65 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. დოკუმენტში განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს, შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და სოციალური ქსელის მართვის პრინციპებს, ოფიციალური ინფორმაციის გაცემის წესს და მიღებული უკუკავშირის გამოყენების მექანიზმებს სკოლაში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

სკოლა მოსწავლეებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელს სკოლის შენობის რეკრეაციულ სივრცეებს, ფოიეს, სადაც გამოკრულია შესაბამისი ინფორმაცია. სკოლა ასევე იყენებს საკლასო ოთახებს პირისპირ შეხვედრების დასაორგანიზებლად.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანალიზი, რომელშიც გამოხატული იყო სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულება კონკრეტული საკითხების მიმართ.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კერძოდ, პედაგოგიურ საბჭოში გაერთიანებულია სკოლის ყველა მასწავლებელი; საგნობრივი კათედრების შემადგენლობაში გაერთიანებულია მასწავლებლების საგნობრივი ჯგუფების მიხედვით, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე; სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც შედის მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი; ასევე სკოლაში წარმოდგენილია წარმომადგენლობით პრინციპზე დაფუძნებული მრჩეველთა საბჭო. მაგალითად სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომლითაქც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა და ჩართულობა სკოლის ცხოვრებასა და მართვაში. ამრიგად, კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი აქტიური ფუნქციონირება სკოლის მართვის პროცესში ქმნის დემოკრატიულ და გამჭვირვალე გარემოს, სადაც ყველა მხარის ინტერესები და მოსაზრებები გათვალისწინებულია.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების**

სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით.

სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება. შენობას აქვს 1 ცენტრალური შესასვლელი და 4 სათადარიგო გასასვლელი. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. უცხო პირთა სკოლაში შემოსვლის კონტროლს და შესაბამის რეგისტრაციას ახორციელებს უფლებამოსილი პირი, რომელიც განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 მარტის #2-25 ბრძანებით. პოლიტიკის დოკუმენტის მიზნები: ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა, უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენაზე, სკოლის დირექტორის განცხადების PDF ვერსია 2025 წლის 16 აპრილით დათარიღებული. წარმოდგენილ განცხადებას არ აქვს გატარების ნომერი. ვიზიტისას მოთხოვნილ იქნა ოფიციალური მიწერილობის დამადასტურებელი მასალა - განცხადება გატარების ნომრით. თუმცა, აღნიშნულ პერიოდამდე არ იქნა მოწოდებული.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური, სკოლას აქვს წერილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან 2025 წლის 16 აპრილის #419100 წერილი.

სკოლას არ ჰყავს აყვანილი შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ვიზიტის პერიოდში დღის წესრიგში იდგა ძველი, დამხმარე შენობის დემონტაჟის საკითხი. შენობა სკოლის ეზოში მდებარეობს. ტერიტორია შემოსაზღვრულია ლენტით. სკოლა ახორციელებს შესაბამის სტრუქტურებთან და სამსახურებთან კომუნიკაციას. ვიზიტის პერიოდში შენობის დემონტაჟი არ არის განხორციელებული.

ინდიკატორი არის მეტწილად შესაბამისი.

რეკომენდაციები:

- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2025 წლის 15 დეკემბერი - უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ წერილობითი დასტურის მიღება.**
- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2026 წლის 04 მარტი - უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება.**
- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2026 წლის 04 მარტი - უზრუნველყოს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა.**
- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2026 წლის 15 იანვარი - უზრუნველყოს ეზოში მდებარე ძველი, დამხმარე შენობის დემონტაჟის განხორციელება.**

რჩევა: სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთოების სპეციალისტი.

უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს მიერ.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში არის 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია ექიმის პოზიციაზე, მაგრამ დირექტორის ინფორმაციით, ვერ მოხერხდა ექიმის აყვანა. შემდეგ მოხდა აღნიშნული საკითხის შეთანხმება საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობით და განისაზღვრა სკოლისთვის ექთნის შტატის განსაზღვრის საკითხი. სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია. კონკურსი წარმატებით ჩატარდა და შერჩეულ იქნა კანდიდატი ექთნის პოზიციაზე. შესყიდული აქვთ მედიკამენტები.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის #2-123 ბრძანებით. პოლიტიკის დოკუმენტის მიზნები: ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.
სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის დირექტორის 2024 წლის 28 თებერვლის #2-06 ბრძანება. აღნიშნული პირი არის მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული, რომელიც ფლობს 2019 წელს გაცემულ სერტიფიკატს #1037/19.

უსაფრთხოების კამერების დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი (2025 წლის 22 აგვისტოს #2-70 ბრძანება). სკოლა აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო სისტემით. სკოლას აქვს 36 ვიდეოთვალი.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები - გადაუდებელი დახმარების ნომრები, ვიდეო თვალის აღმნიშვნელი ნიშანი, რითაც რეგულირდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები.

2025 წლის 01 აგვისტოს #2-66 ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის მორიგეობის განრიგი.

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას.

უცხო პირთა/ვიზიტორთა რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში შესაბამისი ფუნქციის მქონე პირის/ საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის საკითხი.

მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელშეწყობას ემსახურება დამრიგებლის და ასევე სადამრიგებლო პროგრამები. სკოლის დირექცია პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია შესაბამისი სახდელები ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევაში.

სკოლას შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია 2024 წლის 28 თებერვლის #2-07 ბრძანება, სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი 2024 წლის 29 თებერვლის #2-08 ბრძანება.

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დატვირთვით, მათ შორის როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების საგამოფენო სივრცეები და მოსწავლეების მეგობრული თავშეყრის ადგილები, ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას.

ინდიკატორი შესაბამისია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სანიტარული ნორმების დაცვის თვალსაზრისით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

დაწესებულების ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 2 დამლაგებელი, 1 მეეზოვე (აყვანილია სოციალური პროგრამის ფარგლებში).
სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხები ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში.
სკოლას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე.
ჰიგიენური საშუალებები დაცულია სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ ოთახებში შენობაში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი გზით.
სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე.

სკოლა იყენებს ცენტრალური წყლის სისტემას. სკოლას აქვს დისპენსერი - 1 ცალი. სკოლას აქვს არტეზიული ჭა, 10 ტონიანი რეზერვუარი. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, თხევადი საპნით, ნაგვის ურნებით, ხელსახოცებით. სანიტარული კვანძები პრივატულია და დაცულია.
ხორციელდება სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

ინდიკატორი შესაბამისია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 21 მარტის # 56 ბრძანებით განსაზღვრულია სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განმახორციელებელი პირი.

სკოლას დირექტორის 2025 წლის 21 მარტის # 2-29 ბრძანებით შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილზე დასწრების შესახებ (შეფასებები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი); გაცდენები; გამოცდები და ა.შ.) ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ინდივიდუალურად, პერსონალურად მიეწოდება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინდივიდუალური შეხვედრების დროს საჭიროების შემთხვევაში უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ტელეფონით, ელ-ფოსტით, სოციალური ქსელით.

სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ჟურნალების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის 2024 წლის 12 სექტემბრის #2-40 ბრძანება.

მოსწავლისა და მასწავლებლების პირადი საქმეები დაცულია კარადებში და წვდომა აქვს მხოლოდ პასუხისმგებელ პირს.

საარქივო დოკუმენტაციისთვის გამოყოფილია შესაბამისი დაცული სივრცე.

სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის საშუალება აქვს მხოლოდ შესაბამის პასუხისმგებელ პირს.

ინდიკატორი შესაბამისია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებ-გვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სკოლის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის დირექტორის 2025 წლის 31 ივლისის #2-63 ბრძანება.

ინდიკატორი შესაბამისია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანზიმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. სამომავლოდ სკოლაში იგეგმება სწავლის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ დეტალური ანალიზის და ანგარიშის შედგენა, რაც გამოყენებულ იქნება გამოვლენილი გამოწვევებისა და სისუსტეების გაუმჯობესებისთვის. სკოლაში დამკვირებული შეფასებების, უკუკავშირისისა და რეაგირების მექანიზმები იძლევა ინდიკატორის დადებითად შეფასების საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სკოლის დირექტორის წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;
- სკოლის დირექტორის წერილი სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადგენაზე;
- სკოლის დირექტორის წერილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან;
- ბრძანება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;

- ბრძანება კამერების დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ბრძანება მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება უცხო პირთა რეგისტრაციაზე პასუხიმსგებელი პირის შესახებ;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვის შესახებ;
- ჰიგიენური საშუალებების შესყიდვების ხელშეკრულებები;
- სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- ბრძანება პერსოანლურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ;
- ბრძანება ჟურნალების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ბრძანება ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (2025 წლის 29 ივლისი). წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით სკოლა მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში. სკოლის მფლობელობაშია: ფართობი 9706 კვ.მ.; მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით.

სკოლა არის ახლადრეაბილიტირებული. შენობა არის ორსართულიანი, სადაც განთავსებულია - სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, საკლასო ოთახები - 12, საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. 1 რესურსოთახი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია და ფიზიკის ლაბორატორია) ერთად. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერები,ლეპტოპები,პრინტერები, პროექტორები. სარეკრეაციო ზონა და ღონისძიებების ჩასატარებელი სივრცე მოწყობილია დერეფანში; სკოლაში გათბობა ხდება ცენტრალური სისტემით. შენობის შემოსასვლელში მოწყობილია პანდუსი. სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი სამი გასახდელიღ. შენობის როგორც შიდა ასევე გარე სივრცეებში მოწყობილია საპირფარეშოები გოგონების დაა ვაჟების. ასევე ადაპტირებული საპირფარეშო, რომელიც ხელმისაწვდომ ადგილზეა განთავსებული. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხება 124 მოსწავლე, მოთხოვნა არის 215 მოსწავლეზე. მიღებული მერხებისა და სკამები რაოდენობა არის 215, მიმდინარე ეტაპზე სკოლა იყენებს 124მერხს და სკამს, დანარჩენი რაოდენობა შენახულია სკოლის საწყობში.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი, სკოლის დერეფნები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. რესურს კლასში წარმოდგენილი მატერიალური რესურსი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამასწავლებლო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) და ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონელით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 მარტის #2-14 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა (წიგნების საცავი და სამკითხველო), ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს მხატვრულ ლიტერატურას და სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეულ სახელმძღვანელოებს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით - ბეჭდითა და საინვენტარო ნომრებით სათანადო გვერდზე. საინვენტარო წიგნი არსებობს მატერიალური სახით. ბიბლიოთეკაზე გამოკრულია სამუშაო საათები და ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობა ერთსართულიანია, წარმოდგენილია პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, საერთო სარგებლობის სივრცეები - სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო.

ინდიკატორი შესაბამისია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა (ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი , სკოლის ეზო), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- მატერიალური ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის შედეგები;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, სკოლაში არის პერსონალური კომპიუტერები 32 ლეპტოპი, ასევე სკოლას აქვს 6 პროექტორი და 4 პრინტერი. პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები წარმოდგენილია ყველა ადმინისტრაციულ კაბინეტში: დირექტორის, ბუღალტრის, საქმეთამმართველის, რესურს-ოთახი, ექიმის კაბინეტებში, ასევე რესურს-ოთახში, სამასწავლებლოში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში, უსაფრთხოების კაბინეტში, ბიბლიოთეკა-კომპიუტერულ ლაბორატორიაში. გარდა აღნიშნულისა ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია ლეპტოპი, კაბინეტები იკეტება. პროექტორების გამოყენება შესაძლებელია საჭიროებების შესაბამისად. სკოლაში არის კაბელური ინტერენტი, წარმოდგენილია WI-FI სისტემა.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 მარტის #2-16 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია ისტ-ის ლაბორატორიის ფუნქციონირების საკითხები.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადგილზე დათვალიერება;
- მიღება-ჩაბარებები;
- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას 2025 წლის 29 ივლისის #2-62 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი. წესი არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლაში წარმოდგენილია: ანბანური ჟურნალი, საერთო და საკადრო ბრძანებების ჟურნალი, შემოსულ-გასული დოკუმენტაციის ჟურნალი, ხელშეკრულებების ჟურანლი - აკინძული, ბეჭედით დამოწმებული.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა , რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის კორესპონდენციის შემოწმების შედეგად, დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. ასევე სკოლის დოკუმენტაციებიდან ჩანს, 10 დეკემბრის ანგარიში, რომელიც სკოლის დირექტორმა წარადგინა სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემები;
- ზოგადი გნათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის გვერდი;
- სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას სკოლის პორტალზე და Facebook გვერდის საშუალებით. ასევე სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სხვადასხვა დახურული ჯგუფების გზით, ასევე საინფორმაციო დაფაზე ინფორმაციის განთავსებით.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი - 2025 წლის 31 ივლისის ბრძანება # 2-63. სკოლის გვერდზე იდება მხოლოდ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა გამოკითხვას ატარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, შემდეგ აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ სამომავლოდ იყენებს მათ.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს განათლების ერთიანი მართვის სისტემის მიერ შექმნილი ელ. სივრცე - ვებგვერდი ქართულ ენაზე.

ინდიკატორი შესაბამისია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდზე წარმოდგინილია მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, განცხადების და საჩივრის განხილვის წესი, 2024 წლის ფინანსური ანგარიში, სამეურვეო საბჭოს ოქმი, ატვირთულია სკოლის ფოტოები, მითითებულია პროგრამის სახელწოდებები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, სექტორი და საკონტაქტო ინფორმაცია. ვებ-გვერდის ბმული:

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პორტალი;
- სკოლის Facebook გვერდი;
- ბრძანება ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- სკოლის ვებგვერდის ადმინისტრირების წესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა რელევანტურია დაა შეესაბამება სკოლის ფინანსურ რესურსებს.სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ვაუჩერული დაფინანსების დიდი ნაწილი მიმართულია პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და კომუნალური გადასახადების დაფარვაზე. ბიუჯეტი ასევე მოიცავს საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების შეძენისათვის საჭირო თანხებს, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსების ფინანსურ უზრუნველყოფას და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე. სამოქმედო გეგმით ფინანსური რესურსი გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების დასაფინანსებლად: შიდა სასკოლო პროექტების განხორციელება, მოსწავლეთა და თანამშრომელთა წახალისების მექანიზმის დანერგვა, კონფერენციებში, ოლიმპიადებსა და პროექტებში მონაწილეობა, შიდა სასკოლო ტრენინგების უზრუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური მხარის მოწესრიგება, კოსმეტიკური რემონტი, ინვენტარის და სხვა მასალის შეძენა, წიგნადი ფონდის შევსება, ლაბორატორიების მომარაგება, სსსმ მოსწავლეებისთვის რესურსების შეძენა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა და სხვა.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციით მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შესყიდვების გეგმა;
- შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას მოსწავლეთა უფლებების დაცვის საკითხები წარმოდგენილი აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი,

სკოლას აქვს შინაგანაწესი დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ, სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 5 მარტის #2-04 ბრძანებით. სკოლას აქვს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი.ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, საჩივრების განხილვის პროცედურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლებისთვის გაზიარებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების განხილვაზე. სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესის მუხლებს, როგორც წახალისების, ასევე პასუხისმგებლობის ფორმებს. მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მოსწავლეთა ქცევის წესებს, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე შეიმუშავებენ კლასის ხელმღვანელები მოსწავლეებთან ერთად. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობა მშობლებს და მოსწავლეებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია: დეტალური ვალდებულებები და უფლებები ორივე, როგორც დაწესებულების, ასევე სკოლის მხრიდან.
მშობელთა კრებებზე მშობლებს/მეურვეებს დეტალურად აცნობენ შინაგანაწესს, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შინაგანაწესის გაცნობის საკითხი, რაც დასტურდება ხელმოწერებით;

სკოლის მიერ მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში გაფორმებული ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაცვის მუხლი, თუმცა სკოლას მშობლებისგან ნებართვა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე მიღებული აქვს დამატებით თანხმობის ფორმაზე ხელმოწერის გზით.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის მიმართ წარდგენილი განხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულება;
- მშობელთა თანხმობის ფორმები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესების და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ:

“ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით” (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017);

ასევე სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 მარტის #2-17 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 მაისის ბრძანებით #2-40 დამტკიცებულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციის მიხედვით, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და მოსწავლეთა უნარების განვითარებას. აღნიშნული პროექტები რეგულარულად შუქდება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, რაც უზრუნველყოფს როგორც სკოლის საზოგადოების, ასევე ფართო აუდიტორიის ინფორმირებულობას და ჩართულობას.

სკოლის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომის და მათზე რეაგირების საკითხებს, ასევე სკოლაში გამოცხადების პირობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სკოლის პორტალზე. ასევე, აღნიშნულ დაფაზე და სკოლის პორტალზე წარმოდგენილია განცხადებებისა და საჩივრების წარდგენის წესი და სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი სიახლე. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია მოსწავლეთა ქცევის წესები. სკოლის მისაღებში განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სანიმუშო პროექტები თუ ფოტო კოლაჟები, რომელიც უბიძგებს მოსწავლეებს სასურველი ქცევის ჩამოყალიბებისკენ.

ინდიკატორი შესაბამისია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია შეთანხმებული, გადამოწმებულია სკოლის დირექციასთან.
სკოლას განსაზღვრული ჰყავს ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ბრძანება ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ვებგვერდის ადმინისტრირების წესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადასვლის, საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- ელექტრონული ბაზა;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ტრანზიციის დებულება დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 მარტის #2-08 ბრძანება.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს მოახდინოს სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, როგორც ბაღიდან სკოლაში, ასევე საფეხურიდან საფეხურზე. სკოლა ახდენს სხვა სკოლიდან ახალგადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის დირექცია - ადმინისტრაციასთან ერთად, კლასის დამრიგებლები და მოსწავლეები. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ერთვებიან სპეციალური მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, ასისტენტი. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო საზოგადეობის წევრები არიან ერთი თემის წარმომადგენლები, რაც ამარტივებს როგორც მოსწავლის ადაპტაციას გარემოსთან, ასევე კომუნიკაციას.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/კურიკულუმით.

მოსწავლე იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია რემედიაციის საკითხები.
სკოლას აქვს რემედიაციის დებულება 2025 წლის 01 აგვისტოს ბრძანება #2-64, თუმცა აღნიშნულ დებულებაში რემადიაციის პროგრამაა წარმოდგენილი.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ რემედიაციის დებულებაში ასახოს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის ძირითადი პრინციპები, მიდგომები და მექანიზმი.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეების ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება მიმართვის შემთხვევებში. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებმა შეიძლება ისარგებლონ შინ სწავლებით, ექსტერნატის ფორმით დაძლიონ ცალკეული კლასი/საგნები და ა.შ. სკოლაში ძალიან ხშირია სხვადასხვა ხასიათის საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, რაც ინიცირებულია როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების და მათი მშობლების მიერ. შესაბამისად, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და მათი მშობლები, რაც მოსწავლეებში შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარების გარდა, ბავშვის პროცესებში მონაწილეობის უფლების რეალიზებას ახდენს.

ინდიკატორი შესაბამისია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.
სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი „საფიხნო“, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება, საზოგადოებრივ საქმიანობებში მოსწავლეთა ჩართვა, მულტიკულტურული ღირებულებების ჩამოყალიბება, ტრადიციების დაცვა, ადამიანის პიროვნული თავისუფლების პატივისცემა, ევროპისა და საქათველოს ურთიერთობების შესწავლა.
სკოლა მოსწავლეებს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ფარგლებში სთავაზობს სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს, იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ, თემის ფარგლებში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების პროცესში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა მიმართავს დირექტორს კონკრეტული ინიციატივის შესახებ.
მაგალითად, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი სკოლის წინ მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა. მოსწავლეებმა მიმართეს დირეექტორს, დირექტორმა ადგილობრივ თვითმმართველობას. ასევე სკოლას არ ჰქონდა მუსიკალური ცენტრი და მოსწავლეებმა მიმართეს დირექტორს, დირექტორმა მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობას და მოიპოვა შესაბამისი დაფინანსება.
მექანიზმი არის შემდეგნაირი: მოსწავლე მიმართავს კლასის დამრიგებელი/მოსწავლეთა თვითმმართველობას, შემდეგ დირექციას წარედგინება. მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა.

ინდიკატორი შესაბამისია.

რჩევა: სკოლამ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი გაწეროს დოკუმენტის სახით.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ახორციელებს მოსწავლეების, მშობლების და დაინტერესებულ პირთა ჩართვას სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებსა თუ გამოკითხვებში, შემდეგ აანალიზებს შედეგებს და ამ შედეგებს იყენებს მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, ისევე, როგორც სკოლის რეგულაციათა უმრავლესობა, ითვალისწინებს მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების სისტემების არსებობას. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებს ჩართავს არა მხოლოდ აქტივობებისა და მომსახურებების დაგეგმვის, არამედ შეფასებისა და გადასინჯვის პროცესშიც. მოსწავლეებთან ერთად ღირებული უკუკავშირის მიცემა შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებსაც, იქნებიან ეს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები თუ თემის სხვა წევრები.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ტრანზიციის მექანიზმი;
- კლუბის საფიხნო დოკუმენტაცია;
- პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების ამსახველი მასალა;

- სკოლის დერეფანში სპორტული აქტივობების ამსახველი მასალა, ჯიდლოები, სერტიფიკატები, თასები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის პრაქტიკა - სკოლა ხელს უწყობს საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას როგორც სკოლაში ასევე სკოლის გარეთ, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა ვიზიტებს სახანძრო-სამაშველო სამსახურში, საკრებულოში, სასამართლოში, სოფლის ექიმთან. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების სტუმრობა. კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მხარდამჭერ ღონისძიებებს. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა პროფორიენტაციის საკითხები. სკოლას აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან „ჰორიზონტი", რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობას, პროფესიული მიმართულებების გაცნობას მოსწავლეებისთვის, ვიზიტებისა და სხვადასხვა ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისია.
რჩევა: სასურველია, სკოლამ განსაზღვროს აღნიშნული ფუნქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/ შეიმუშავოს მექანიზმი.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, ხორციელდება მოსწავლეებთან (IX და XII კლასი) შეხვედრები. აღნიშნულ შეხვედრას, სურვილის შემთხვევაში ესწრებიან მშობლებიც. სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით ჩანს, რომ დამრიგებლის ერთ-ერთი მოვალეობაა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაცია, მათთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება. დამრიგებლები მჭიდრო კომუნიკაციაში არიან მშობლებთან, აწვდიან მათ ინფორმაციას იმ შესაძლებლობების (კოლეჯი, უმაღლესი სასწავლებელი) შესახებ, რაც არსებობს მოსწავლეთათვის სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ. ასევე, დამრიგებელი პერიოდულად განიხილავს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას და სამომავლო გეგმებს.

ინდიკატორი შესაბამისია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა ატარებს მოსწავლეებში საინტერესო პროფესიის შესახებ გამოკითხვას, აღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე შემდეგ გეგმავს ვიზიტებს/შეხვედრეს შესაბამისი პროფესიების მქონე ადამიანებთან.
ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- სტრატეგიული გეგმა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლეთა განათლების რეგულირების საკითხები 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით.

სკოლას აქვს რესურს ოთახი, საშტატოთი განსაზღვრული აქვს 1 სპეციალური მასწავლებლის და 1 ასისტენტი. სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე.

შექმნილია ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის ჯგუფი სკოლის დირექტორის 2024 წლის 4 ოქტომბრის #2-44 ბრძანებით.

ინდიკატორი შესაბამისია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით. ამ ჯგუფში შედიან: კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები. ასევე, დოკუმენტში ნათქვამია, რომ მშობელი აქტიურად არის ჩართული როგორც ისგ-ის შემუშავებაში, ასევე მისი განხორციელების მონიტორინგში. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას, მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას, ჯგუფურ მუშაობას, პროექტებში მონაწილეობას და საერთო პასუხისმგებლობის განცდას, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის სპეციალური პედაგოგთან ინტერვიურებითაც ჩანდა, რომ აღნიშნული პროცესების იმპლემეტაცია ხდება წარმოდგენილი მექანიზმების მიხედვით, როგორც მშობელი, ასევე სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში, გადაწყვეტილებების მიღებაში, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. მშობელი ადასტურებს, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს და კომუნიკაცია ყველა მხარესთან სისტემურია.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;
- ისგ ჯგუფის ბრძანებები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით არ აქვს გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება. სკოლა სარგებლობს ტრანსპორტირების სახელმწიფო პროგრამით.

ინდიკატორი შესაბამისია.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

ტრანსპორტირების პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით, რათა მოხდეს სკოლიდან შორს მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლაში და მათთვის განათლების მიღების ხელშეწყობა.

ინდიკატორი შესაბამისია.

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებით, მძღოლისადმი წაყენებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით. ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება დილით სახლიდან სკოლამდე და გაკვეთილების დასრულების შემდეგ სკოლიდან სახლამდე მიყვანით. აღნიშნული დასტურდება ხელმოწერილი ტაბელებით.

ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტირების ტაბელი;
- ტრანსპორტის უსაფრთხოების დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება # 2-57) დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა ძირითადი ჯგუფი: მასწავლებლები, დირექტორი, მოსწავლეები და მშობლები. მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება არის ამ ჯგუფების თანამშრომლობის შედეგი და არა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა, არამედ ინტენსიური თანამშრომლობა. ასევე, დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი, რომ მასწავლებლებსა და დირექტორს მკაფიოდ გადანაწილებული ფუნქციები აქვთ, ხოლო გამოწვევები განიხილება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს მათი შეხედულებებისა და ინტერესების გათვალისწინებას. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ კურიკულუმის განვითარება ეფუძნება სკოლის პრიორიტეტებს და უზრუნველყოფს კავშირს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვის პროცესში მონაწილეობენ მასწავლებლები, დირექცია და მშობლები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საზოგადოების ჩართულობას. სკოლის ხედვით, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და ყოველწლიურად განახლდება წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რაც გულისხმობს საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებას. აღნიშნული მიგნება სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიურების დროსაც ჩანდა. მასწავლებელები საუბრობდნენ გასული სასწავლო წლის მიღწევებსა თუ გამოწვევებზე, რომელიც მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესებენ, რასაც სრულად რეაბილიტირებული შენობა უწყობს ხელს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარდმოდგენილ სამეურვეო (ოქმი #2) და პედაგოგიურ საბჭოს (ოქმი #6) ოქმებში განხილული, შეთანხმებულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. შესაბამისად, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები თავისი ფორმატით წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესს, რაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას სასკოლო კურიკულუმში. სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი დაგეგმილია თანამშრომლობითი პრინციპით და ითვალისწინებს სკოლის საზოგადოების წევრთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლა აღწერს კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პროცესებს. კერძოდ, კურიკულუმი ერთდროულად მომდინარეობს სკოლის პრიორიტეტებიდან და მუდმივ კომუნიკაციაზეა აგებული სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მასწავლებლები, დირექტორი, მშობლები). დოკუმენტი დეტალურად ასახავს, რომ პროცესში ჩართულნი არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექტორი, რაც აშკარად გულისხმობს ერთობლივ განვითარებას და არა მხოლოდ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას. მეთოდოლოგიაში გვხვედება დანერგვის კომპონენტიც, რაც ხაზს უსვამს, რომ პროცესების შეფასება და უკუკავშირი უნდა აისახებოდეს სამ დონეზე: მოსწავლის, მასწავლებლისა და სკოლის — რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საზოგადოების როლსა და მრავალმხრივ ჩართულობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მშობელთა კითხვარებში, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმში განხილული სასკოლო სასწავლო გეგმით ჩანს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.ასევე სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. საჭირო მასალები ხელმისაწვდომია და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის მიერ. მასალების გაზიარება ხდება სოციალური ქსელის, სკოლის ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დვაბზუს თემი მჭიდრო კონტაქტშია სკოლასთან, ფაქტიურად სკოლა წარმოადგნს მამოძრავებელ ცენტრს თემში, სასკოლო საზოგადოება კი მთლიანად ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. კომუნიკაცია, უკუკავშირი, გაზიარება, თანამშრომლობა ყველაზე ნაკლები გამოწვევებით გვხდება სკოლაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

სამეურვეო საბჭოს ოქმი;
პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
კითხვარები;
სკოლის ვებ-გვერდი;
სკოლის სოციალური ქსელი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას სამივე საფეხურზე აქვს მოსწავლის ინტერესებზე, მის განვითარების პროცესებზე ორიენტირებული კურიკულუმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკუკუმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში ძირითადად დაგეგმილია მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად ეროვნული სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კავშირში. წარმოდგენილი კურიკუკუმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში მეტწილად ითვალისწინებს სამიზნე ცნებების დაუფლების გზებს. გეოგრაფიის, ისტირიის, სამოქალაქო განათლების, ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების კურიკულუმებში შემოთავაზებულია მრავალფეროვანი დავალების იდეები, რომელთა შესრულება გამოიწვევს მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალების გააქტიურებას, კრიტიკული, ანალიტიკური, სოციალური, ტექნოლოგიური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა** - სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ შეიმუშავოს ისეთი დავალებების იდეები, რომლებიც საგნობრივ ჭრილში ავსებდნენ ერთმანეთს და იძლეოდნენ ინტეგრირებული სწავლების დაგეგმვის შესაძლებლობას მოსწავლეთა თვალსაწიერის გასაფართოებლად და საგნობრივი სწავლების პირობითი საზღვრების შესამცირებლად.

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის საქმიანობა მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფას. კათედრის წევრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის უნარებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სსიპ- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტებისა და დამატებით მოთხოვნილი მასალების შესწავლის საფუძველზე, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა) იკვეთება, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმის შინაარსი და კურიკულუმის თანახმად განხორციელებული პრაქტიკა წარმოადგენს მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარებაზე ორიენტირებულ დოკუმნეტს/ინსტრუმენტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო კურიკულუმების ანალიზი (მე-5-დან მე-12 კლასების ჩათვლით) აჩვენებს, რომ ისინი ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს დასტურდება რამდენიმე ძირითადი მახასიათებლით, რომელიც აისახება კურიკულუმის სტრუქტურასა და შინაარსში: კურიკულუმში მოცემული დავალებების იდეები არა მხოლოდ ტექსტის გააზრებას მოითხოვს, არამედ მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თავად შექმნან პროდუქტი. მაგალითად: ○ **მე-5 კლასი:** „ჩანახატის მომზადება“ და „თქვენი მოსაზრების დაწერა“. ○ **მე-6 კლასი:** „პრეზენტაციის მომზადება“, „ნასწავლი ტექსტის შინაარსის გადმოცემა სხვა პერსონაჟის პერსპექტივიდან“. ○ **მე-7 კლასი:** „მონოლოგის დაწერა“. ○ **მე-8 კლასი:** „მოთხრობის პიესად გადაკეთება“. ○ **მე-9 კლასი:** „არგუმენტირებული ესეს დაწერა“, „პუბლიკაციის მომზადება“. ○ **მე-10 კლასი:** „შემაჯამებელი მინილექციის ჩატარება“. ○ **მე-11 კლასი:** „ანალიტიკური ესეს დაწერა“. ○ **მე-12 კლასი:** „ანალიტიკური ნაშრომის შექმნა“. კურიკულუმები აერთიანებს სტანდარტით გათვალისწინებულ ცნებებს კონკრეტულ თემასა და საკითხთან. ეს ეხმარება მოსწავლეებს, შეისწავლონ არა ცალკეული ელემენტები, არამედ დააკავშირონ სხვადასხვა კომპონენტები ერთმანეთთან. დაყოფილია თემების მიხედვით, როგორიცაა „ბუნების სურათები“ (მე-5 კლასი), „ამეტყველებული ბუნება“ (მე-6 კლასი), „ადამიანი და გარემო“ (მე-9 კლასი),

	რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სიღრმისეულად შეისწავლონ კონკრეტული საკითხები სხვადასხვა ავტორისა და ნაწარმოების მაგალითზე. კურიკულუმები, სახელმძღვანელოებთან ერთად, მოიცავს ელექტრონულ რესურსებს, ტელესკოლის გაკვეთილებს, Youtube ვიდეოებსა და მხატვრულ ფილმებს. ეს მიდგომა აკავშირებს სწავლის პროცესს თანამედროვე ტექნოლოგიებთან და მოსწავლეებისთვის უფრო მიმზიდველსა და ხელმისაწვდომს ხდის. დამატებითი ლიტერატურის არსებობა, როგორიცაა გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (მე-7 კლასი) ან გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ (მე-10 კლასი) ხელს უწყობს მოსწავლეების ინტერესის გაღვივებასა და ცოდნის გაღრმავებას. კურიკულუმებში მითითებულია, რომ გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ფორმები, რაც ნიშნავს, რომ სწავლის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საბოლოო ქულით, არამედ მოიცავს პროცესის შეფასებას და მოსწავლის უკუკავშირს. თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გამოყენება მნიშვნელოვანია მოსწავლის ავტონომიისა და კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე თანატოლების ნამუშევრები, რაც ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამრიგად, წარმოდგენილი კურიკულუმები ნათლად აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლის აქტიური მონაწილეობისა და პრაქტიკული უნარების განვითარების გათვალისწინებით. დავალებები სცდება ტრადიციულ „წაიკითხე და მოყევი“ ფორმატს და მოუწოდებს მოსწავლეებს, თავად გახდნენ შემქმნელები და აქტიური მონაწილეები. რესურსების მრავალფეროვნება და შეფასების სხვადასხვა ფორმა კი კიდევ უფრო აძლიერებს ამ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, **სამივე საფეხურზე,** შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას.კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. სამივე საფეხურზე, ყველა კლასში თემის ფარგლებში წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ნათლად გვაჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე და ინტერვიუს დროს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგები სკოლის, მატერიალური ბაზის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით (მძლეოსნობა, კალათბურთი, პროექტული სწავლება, ფრენბურთი, ფეხბურთი და ლაშქრობა) გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმები ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას სწავლებისა და განვითარების (ტექნოლოგიების) კუთხით. მიღებული თემატური მატრიცის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ კურიკულუმში შემოთავაზებული რთული დავალებები მორგებულია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. ამ დავალებების შესრულებისას გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები, რაც მოსწავლეებს აძლევს არჩევანის თავისუფლებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში განსაზღვრულია კლასების მიხედვით შესაბამისი სამიზნე ცნებები, წარმოდგენილია რთული დავალებების იდეები და მაგალითები, რომლებიც თითქმის სრულად მოიცავს ყველა სამიზნე ცნებას. ინდიკატორები სრულ თანხვედრაშია კურიკულუმის მიზნებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება,ქართული,მათემატიკა,მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები.კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები- შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე

	გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და მის მოთხოვნებს. მოსწავლეს საგნობრივ ცოდნასთან ერთად უვითარებს ფუნქციურ კომპონენტურ უნარებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკუკუმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში ძირითადად ითვალისწინებს სამიზნე ცნებების დაუფლების საშუალებით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა** - სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ შეიმუშავოს კურიკულუმის შესავსები ერთი ფორმა, მცირედ განსხვავებული შეიძლება იყოს ,,მე და საზოგადოების“ დაწყებითი საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე. სასურველია სამიზნე ცნებების გასწვრივ იკითხებოდეს საკითხები, რომლებიც მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნების ფარგლებში;

	სასურველია წარმოდგენილი შესასრულებელი დავალების იდეებშიც გამოკვეთილი იყოს რომელი სამიზნე ცნებებები მუშავდება ან საფეხურის რომელ მისაღწევ შედეგს მიემართება მოცემული დავალება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებითა და პრინციპებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ესთეტიკური აღზრდის კათერდის საგნობრივი დისციპლინები - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ მიერ გაწერილი შუალედური მიზნები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ- დაწყებითი და საბაზო საფეხურები ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტით დადგენილ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო საშუალო საფეხურზე- პრიორიტეტულ მიმართულებებზე (მაკროცნებები) ორიენტირებულ სავალდებულო პროექტების განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა - სასურველია** მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანებში გადაიხედოს საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები და გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი,რესურსები, რაც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში მოცემული დავალებები, როგორიცაა პროექტები, პრეზენტაციები, ანალიტიკური ნაშრომები და შემოქმედებითი დავალებები (მაგ. ჩანახატის დაწერა, მოთხრობის პიესად გადაკეთება) მიემართება ესგ-ს მთავარ მიზანს — მოსწავლე გახდეს აქტიური შემსწავლელი და არა მხოლოდ პასიური მიმღები. მაგალითად: მე-5 კლასის კურიკულუმში მოცემული დავალება — „ჩანახატის

	მომზადება“ ან მე-8 კლასის დავალება — „მოთხრობის პიესად გადაკეთება“ აშკარად მიმართულია მოსწავლის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. კურიკულუმი ყურადღებას უთმობს უნარების განვითარებას, როგორიცაა წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ანალიზი და პრობლემის გადაჭრა. მაგალითად: მე-9 კლასში „არგუმენტირებული ესეს დაწერა“, მე-11 და მე-12 კლასებში „ანალიტიკური ესეს/ნაშრომის შექმნა“; მე-6 კლასში „ზეპირი მსჯელობა“ და მე-10 კლასში „მინილექციის ჩატარება“. ყველა კლასში ნაწარმოებების ანალიზი სხვადასხვა ცნების (ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი) მიხედვით. კურიკულუმებში მითითებულია, რომ გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების მეთოდები, მათ შორის თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ეს შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნას, რომ შეფასება უნდა იყოს მოსწავლის განვითარების ინსტრუმენტი და არა მხოლოდ საბოლოო შედეგის დაფიქსირება. ყველა წარმოდგენილი კურიკულუმის დასაწყისში მითითებულია, რომ შეფასების ფორმებია: „განმსაზღვრელი, განმავითარებელი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა - სახელმწიფო ენა** - საბაზო და საშუალო საფეხურზე- სასურველია, დავალებებში უფრო მკვეთრად გამოჩნდეს კავშირი რეალურ ცხოვრებასთან; თემები და საკითხები ძირითადად ლიტერატურულ ნაწარმოებებს ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დავალება (მაგ. „ეკოლოგიური პრობლემები“ მე-8 კლასში) უკავშირდება რეალობას, შესაძლებელია, ეს კავშირი უფრო მეტად გაღრმავდეს. დაამატეთ დავალებები, რომლებითაც მოსწავლეები დაუკავშირებენ ნასწავლ ცოდნას მათ ყოველდღიურ გამოცდილებასთან. კურიკულუმში ნაკლებად ჩანს არჩევანის შესაძლებლობა და განსხვავებული დავალებები სხვადასხვა აკადემიური მიღწევებისა და შესაძლებლობების მოსწავლეებისთვის. სასურველია, შესთავაზოთ არჩევითი დავალებები, ასევე, დავალების შესრულების ალტერნატიული გზები.

მათემატიკა	მათემატიკაში, **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. კომპლექსური დავალების მიმდინარეობისას იკვეთება მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს, რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხურის ტექნოლოგიების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები (ტექნოლოგიების მიმართულებით) სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ გრძელვადიან მიზნებს. თემები და ცნებები ერთმანეთთან ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა დაკავშირებული. შუალედური მიზნები შერჩეულია ცნებათა იერარქიის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. ინდიკატორები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის

	ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმების ჩაშენებულ რესურსებში სამივე საფეხურზე ჩანს როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ონლაინ რესურსები, რომელსაც იყენებენ სწავლების პროცესში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **დაწყებითი საფეხური/ბუნებისმეტყველება რჩევა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება(ვიდეო/ანიმაციური ფილმები)ასევე სპეციალურად შემუშავებული რესურსები, რასაც თავად იყენებენ სასწავლო პროცესში:დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღმწერები და ა. შ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსების ლინკების დათვალიერება შესაძლებელია; ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. რესურსების შინაარსი და თემატიკა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო მასალები, ხელს უწყობს შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის კათედრა იყენებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსს, მათ შორის ვიზიუალურსა და ციფრულს, დამატებითი რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

	რჩევა -უცხო ენები-სამივე საფეხურზე სასურველია, კათედრამ გააძლიეროს რესურსების მრავალფეროვნება პროექტული დავალებების დაგეგმვისას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის კურიკულუმების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ სკოლა ძირითადად ეყრდნობა სამინისტროს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (მუსიკა, სახ.და გამოყენებითი ხელოვნება). სამივე საფეხურზე კათედრის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ელექტრონული ბმულები მოცემულ საკითხებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა** - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების სვეტში თემასთან და საკითხთან მიმართებაში არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან გვერდები. ასევე, ზოგიერთი თემის დამუშავებისას გაურკვეველია რა რესურსით სარგებლობენ პედაგოგები, სასურველია, გაითვალისწინოთ, დეტალურად ჩაშლილი კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ყველა ველი.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები: თითოეულ კლასში მითითებულია შესაბამისი სახელმძღვანელო და დამატებითი ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს თემის სიღრმისეულად შესწავლას და მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას. ასევე, გამოყენებულია ელექტრონული რესურსები: Youtube-ის ბმულები, ტელესკოლის გაკვეთილები, მხატვრული და დოკუმენტური ფილმები ხელს უწყობს მასალის ვიზუალიზაციას, მოსწავლეთა მოტივაციას და სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. რესურსები პირდაპირ არის დაკავშირებული შემოთავაზებულ აქტივობებთან. მაგალითად, **მე-11 კლასში** „ანალიტიკური ესეს დაწერა“ ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით. რესურსებში წარმოდგენილია ფილმი „ვედრება“, რაც მოსწავლეებს ეხმარება, ნაწარმოები განსხვავებული რაკურსით გააანალიზონ.

	ამრიგად, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ადეკვატურად არის შერჩეული, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა** - სახელმწიფო ენა -საბაზო და საშუალო საფეხური-კურიკულუმში უმეტესად მითითებულია პასიური რესურსები (ვიდეო, ფილმი), რაც ნაკლებად აძლევს მოსწავლეს ინტერაქციის საშუალებას. სასურველია, გაამრავალფეროვნოთ რესურსების ნუსხა. ჩართეთ ვირტუალური ტურები (მაგ. მუზეუმებში), ონლაინ თამაშები, ინტერაქტიური ქვიზები ან პლატფორმები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თავად შექმნან კონტენტი ან გამოსცადონ ცოდნა.
მათემატიკა	დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები იყენებენ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს, არამედ ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, რაც მოსწავლეებს ეხმარებათ მათემატიკის უფრო მარტივად და სახალისოდ შესწავლაში. ასევე კათედრაზე იყენებენ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომელიც გასაუბრების დროს წარმოადგინეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ლაშქრობა და პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე,

	რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, დეტალურ კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად გათვალისწინებულია რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა** - დაწყებითი საფეხური- ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოების საგნებში სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა; ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები)ასევე სპეციალურად შემუშავებული რესურსები, რასაც თავად იყენებენ სასწავლო პროცესში:დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღმწერები და ა. შ.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და მზაობას. შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების გამოვლენა. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა დავალებების ადაპტირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, დავალებების იდეები და შესასრულებელი აქტივობები თავისთავში მოიცავს და განსაზღვრავს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური და პოზიტიური გარემოს გათვალისწინებით. განხორციელებულია შემეცნებითი და სოციალური პროექტები სადაც აშკარად ჩანს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების სიკეთეები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა. მეცხრე კლასის მიერ მომზადებულ 26 მაისისადმი მიძღვნილ სარეკლამო რგოლშიც ჩანს შშმ პირის მონაწილეობა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მასწავლებლები ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას

	მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება გამოხატოს საკუთარი ცოდნა მათთვის მისაღები ფორმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მათი ხედვა დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავშირებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესი მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს. მასწავლებლებმა დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინეს რამდენიმე მაგალითი დავალებისა და ადაპტირებული აქტივობებისა, სადაც დავალების პირობაში მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ შესაქმნელი პროდუქტი - მხატვრულად გაფორმებული ხელნაკეთი ბარათები, ჩანახატები, პლაკატები...მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ქმნიან მოსწავლეთათვის ინკლუზიურ გარემოს და რესურსებს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი მეტ-ნაკლებად ასახავს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებას. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია, ისინი ნაკლებად შეიცავს კონკრეტულ მექანიზმებსა და რესურსებს, რომლებიც ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის ან აკადემიური დონეების მრავალფეროვნებისთვის. კურიკულუმში არ არის მითითებული, როგორ უნდა მოხდეს დავალებების მოდიფიცირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. დავალებები მოცემულია ერთიანი სახით მთელი კლასისთვის. განსაზღვრულია შეფასების ფორმები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი), თუმცა არ არის განმარტებული, როგორ უნდა მოხდეს შეფასების კრიტერიუმების ადაპტირება სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. კურიკულუმები გვთავაზობენ სხვადასხვა ტიპის დავალებებს – წერითი (ესე, პუბლიკაცია), ზეპირი (პრეზენტაცია, მსჯელობა) და შემოქმედებითი (ჩანახატი, მონოლოგი), რაც იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა გამოავლინონ თავიანთი ძლიერი მხარეები. მაგალითად, თუ მოსწავლეს უჭირს წერა, მას შეუძლია თავი გამოიჩინოს ზეპირ მსჯელობაში. ასევე, ვიდეოების, ფილმებისა და ტელესკოლის გამოყენება სასარგებლოა ვიზუალური

	ან სხვა სტილის შემსწავლელი მოსწავლეებისთვის. ეს არ არის უშუალოდ დიფერენციაცია, მაგრამ ქმნის პირობებს, რომ მასალა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა - სახელმწიფო ენა** - საბაზო და საშუალო საფეხური - კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის, ან როგორ ხდება თანატოლთა შორის მხარდაჭერის ხელშეწყობა. მასწავლებლის როლი დიფერენცირებული დაგეგმვისა და სწავლების პროცესში გადამწყვეტია.
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები . დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ასევე აღნიშნეს კათედრის წევრებმა, რომ მუშაობის პროცესში უწევთ დავალების ადაპტირება. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდა პირობის გართულება და პირიქით, ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დავალება წარმოედგინათ სხვადასხვა ფორმით: ფორმატზე, ელექტრონულად, ნახატებით, მაკეტით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომელთანაც საჭირო იქნება მუშაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით რასაც ადასტურებს მასწავლებელი ინტერვიუს მსვლელობის დროს. მასწავლებელმა გამოთქვა მაღალი მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში გააკეთებენ ინდ გეგმას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლეთა შეფასებისა თუ მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებში, ტექნოლოგიების საგნის ჩარჩო კურიკულუმებში ნათლადაა განსაზღვრული სასწავლო მიზნები, დაგეგმილია რთული დავალებები და შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.

	წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან ირკვევა, რომ დავალებების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე თემისა თუ სამიზნე ცნების შესწავლისას აქვთ მრავალფეროვანი არჩევანის შესაძლებლობა, რაც საბოლოო პროდუქტის მრავალფეროვნებასაც უზრუნველყოფს. ინდიკატორები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვბული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. არის მრავალმხრივი(განმსაზღვრელი, განმავითარებელი, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, ლაბ სამუშაოს, დიაგნოსტიკური (საბაზო;საშუალო)სამიზნე ცნებებზე გაწერილი და მკვიდრი წარმოდგენების გაზომვას ემსახურება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში თავდაპირველად წარმოდგენილმა შეფასების სქემებმა გამოაჩინა, რომ მოსწავლეთა შეფასების პრაქტიკაში არსებობდა მთელი რიგი გამოწვევები. მასწავლებლებმა დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და ვიზიტის დროს წარმოდგენილ კურიკულუმებში გამოასწორეს არსებული ხარვეზი და აჩვენეს მაღალი მზაობა არსებული გაუგებრობის გამოსასწორებლად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სკოლა არ იყო ჩართული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროექტებში.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა** - სასურველია საზოგადოებრივ მეცნიერებებში საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვის შეფასების ნაწილში და განხორციელებული კურიკულუმის შეფასების ნაწილში კათედრამ მკაცრად იხელმძღვანელოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
უცხოური ენები	შეფასება მიმართულია მოსწავლის უნარებისა და ცოდნის განვითრებაზე. სამივე საფეხურზე მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკების ნიმუშების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს და იძლევა საგნობრივი სტანდარტებით დადგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. შეფასების რუბრიკები უფრო მეტად ზოგადი ხასიათისა, რამოდენიმე დოკუმენტში არ არის თვალსაჩინოდ გამოყოფილი სამიზნე ცნებები და დავალებების შესაბამისობა კურიკულუმთან. ზოგიერთ რუბრიკას სრულყოფილად არ ახლავს სამიზნე ცნებები. თუმცა, ინტერვიუს დროს მითითების საფუძველზე მოთხოვნით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში - კონკრეტული დავალების შეფასების ნიმუშის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა** - შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. სასურველია, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაკონკრეტდეს სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.

სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დადგენაზე, არამედ მოსწავლის განვითარებაზეც. განმავითარებელი შეფასება ესგ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. განმავითარებელი შეფასების მიზანია მოსწავლეს დაეხმაროს წინსვლაში, გამოავლინოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ყველა კურიკულუმის (მე-5- მე-12 კლასები) დასაწყისში მითითებულია: „შეფასების ფორმები და მეთოდები: განმსაზღვრელი, განმავითარებელი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება.“ კომპლექსური დავალებას ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, კონკრეტული კომენტარები და რეკომენდაციები დაურთოს მოსწავლის ნამუშევარს ცნებების მიხედვით. ეს პირდაპირ ემსახურება მოსწავლის წინსვლას. განმსაზღვრელი შეფასებაც გათვალისწინებულია, რაც აუცილებელია მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების შეჯამებისა და დოკუმენტირებისთვის. მაგალითად, **ანალიტიკური ესე დავალების პირობას ახლავს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა** ქულებითურთ, სადაც თითოეულ ცნებისადმი მიმართულ კრიტერიუმს ენიჭება ქულა. ეს აჩვენებს, რომ საბოლოო შედეგები ფასდება კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე. ესგ-ს ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარების განვითარება. თვითშეფასება და ურთიერთშეფასება ამ მიზანს ემსახურება. მე-5 - მე-12 კლასების კურიკულუმში მითითებულია, რომ გამოიყენება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების პროცესში. ასევე, კურიკულუმებში არსებული კომპლექსური დავალებები, როგორიცაა „მოთხრობის პიესად გადაკეთება“, „მინილექციის ჩატარება“ ან „ანალიტიკური ესეს დაწერა“, იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს მოსწავლის მიერ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება და არა მხოლოდ ფაქტების დამახსოვრება. მაგალითად, კომპლექსურ დავალებას (მოთხრობა ,,სურათებიანი წიგნის'' მინიშნებებზე დაყრდნობით გადმოეცით ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი პატარა ბიჭის ხედვის პერსპექტივიდან ისე, როგორც მოჰყვებოდა ამბავს ეს პერსონაჟი) ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს რთული,

	მრავალკომპონენტიანი დავალება, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის ცნებებზეა დაფუძნებული. საბოლოო ჯამში, შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ-ს პრინციპებს, რადგან ის აერთიანებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, იყენებს კომპლექსურ დავალებებს და ითვალისწინებს თვითშეფასებას. თუმცა, მისი ეფექტურობის ასამაღლებლად აუცილებელია დეტალური მითითებების დამატება განმავითარებელი შეფასებისთვის, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინება შეფასებისას და პროცესის შეფასების მექანიზმების დანერგვა. ეს ცვლილებები სისტემას უფრო მოქნილს, სამართლიანსა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულს გახდის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა -სახელმწიფო** ენა- საბაზო და საშუალო საფეხური-შეფასების რუბრიკები ერთიანია ყველა მოსწავლისთვის. არ ჩანს, როგორ ხდება შეფასების კრიტერიუმების ან ქულების მოდიფიცირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (სსსმ) ან განსხვავებული აკადემიური მიღწევების მოსწავლეებისთვის. სასურველია, შექმნათ დიფერენცირებული შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი რუბრიკები ძირითადად აფასებს საბოლოო პროდუქტს (ესე, დებატები). ნაკლებად ჩანს, როგორ ფასდება მოსწავლის პროცესში ჩართულობა, თანამშრომლობა, მონდომება, ანუ ის არაფორმალური უნარები, რომლებიც ესგ-ს მიზნებს ემსახურება. სასურველია, შექმნათ ცალკე რუბრიკა ან დაამატოთ არსებულს სვეტი, რომელიც შეაფასებს პროცესს. მაგალითად, „ინფორმაციის მოძიება“, „თანამშრომლობა ჯგუფში“, „დროის მართვა“ და ა.შ.
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე სკოლა ახორციელებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შესაძლებობას აძლევს მასწავლებლებს, გამოკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობა და

	ინტერესი. კათედრის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შეფასების სისტემა სწორად არის დაკავშირებული გრძელვადიან მიზნებთან და ასახავს მათთან სათანადო ურთიერთკავშირს. სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებსა და სოლო ტაქსონომიის მიდგომას. ინდიკატორები სრულ თანხვედრაშია დასახულ მიზნებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **რჩევა** - დაწყებითი საფეხური - სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან

	მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა;შეფასება:
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- კათედრის ანგარიში.

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

◦ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროვებიდან გამომდინარე ზოგჯერ ხდება მცირედი მოდიფიცირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკუკუმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში ძირითადად დაგეგმილია მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად ეროვნული სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კავშირში. განხორციელებული სასწავლო, შემეცნებითი და სოციალური პროექტები სამივე საფეხურზე საფეხურზე ყველა კლასში ადასტურებს დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის სასწავლო საქმიანობა ეყრდნობა სასკოლო კურიკულუმს. დაგეგმილი აქტივობები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა: უცხო ენები-სამივე საფხურზე** სასურველია მუშაობის დაგეგმვისას, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ

	სასწავლო პროცესის წარმართვისას. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობებში ჩართვას, არაფორმალური განათლების მხრივაც წარმატებით ანხორციელებენ სასკოლო ღონისძიებებს. შესაბამისად, სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ეს დასტურდება რამდენიმე ძირითადი მახასიათებლით, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების აღწერას, შეფასების რუბრიკებსა და სასწავლო პროექტის დაგეგმვას. კერძოდ, კურიკულუმებში მოცემული დავალების იდეები დეტალურად არის გაშლილი ცალკეულ დოკუმენტებში, როგორც კომპლექსური დავალებები. ეს მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემით, არამედ მიზნად ისახავს ცნებების პრაქტიკულად გამოყენებას. მაგალითად, მე-6 კლასის კურიკულუმში მოცემულია დავალების იდეა — „ნასწავლი ტექსტის შინაარსის გადმოცემა სხვა პერსონაჟის პერსპექტივიდან“. ეს იდეა დეტალურად არის გაშლილი, როგორც კონკრეტული დავალება: „რეზო ჭეიშვილის მოთხრობის, „სურათებიანი წიგნის“, ამბის თხრობა მთხრობელის შეცვლით... პატარა ბიჭის ხედვის პერსპექტივიდან“. კურიკულუმში მითითებული შეფასების ფორმები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება) დეტალურად არის წარმოდგენილი დავალებების თანდართულ რუბრიკებში. ეს გვიჩვენებს, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და ემსახურება კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ითვალისწინებს კურიკულუმში მოცემულ სამიზნე ცნებებს (ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი), თემატიკასა და შესაბამის რესურსებს. მაგალითად, **პროექტი „ჩვენი ენა ქართული“**: მიუხედავად იმისა, რომ ეს არის პროექტი მე-4 კლასისთვის, მისი მიზნები, როგორიცაა „სიღრმისეულად გაიაზრონ ქართული ენის მნიშვნელობა“, პირდაპირ უკავშირდება იმ თემატიკას, რომელიც მე-5 და მომდევნო კლასების კურიკულუმებშია გაშლილი („ბუნების სურათები“,

	„მშობლიური სამყარო“). ეს გვიჩვენებს, რომ დაგეგმვა უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ განვითარებას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეები არიან ცენტრალური ფიგურები. მათ ევალებათ არგუმენტირებული მსჯელობა, დებატებში მონაწილეობა, პროექტების განხორციელება და ა.შ., რაც სრულად შეესაბამება კურიკულუმების მიზნებს. ამრიგად, წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმები არ არის მხოლოდ ფორმალური გეგმა, არამედ ისინი პრაქტიკაში არის გადმოტანილი და ემსახურება სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კომპლექსური დავალებების, შეფასების რუბრიკების და პროექტის აღწერის დეტალური შესწავლა ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად და კურიკულუმით განსაზღვრული ცნებებისა და მიზნების შესაბამისად მიმდინარეობს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეები სწავლობენ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკული და შემოქმედებითი აქტივობების მეშვეობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე, საწავლო პროცესში შემოქმედებითი დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი დავალებები, რომ მოსწავლებმა შეძლონ ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს, საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ

	შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლის დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას. თემები შეიცავს საგულდაგულოდ შერჩეულ საკითხებს, რომლებიც საშუალებას იძლევა თემის სრულყოფილად დამუშავების. კურიკულუმში განხილულია სამიზნე ცნებები, შემუშავებულია კომპლექსური დავალებების იდეები, ნათლადაა ჩამოყალიბებული სამიზნე ცნებები და საკითხები, ასევე განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში. ინდიკატორები შეესაბამება დასახულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის ტრანზიციის დოკუმენტი ითვალისწინებს მოქნილ რეაგირებას სხვადასხვა სიტუაციაზე: მაგალითად, ტრანზიციის პერიოდებს (საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ახალი მოსწავლის ინტეგრაცია), სადაც დამრიგებლისა და მასწავლებლის როლია გამოკვეთილი, რათა მოსწავლეებმა მარტივად და სტრესის გარეშე გადალახონ ცვლილებები. დოკუმენტი პასუხობს მოთხოვნას, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ის უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიდგომების, მრავალფეროვანი მხარდაჭერისა და დროული რეაგირების მექანიზმებს. აღწერილია ახალი მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები (ინფორმაციის მიწოდება, კლასში ინტეგრაცია, წარდგენა თანაკლასელებს, კომუნიკაცია მშობლებთან). ასევე გათვალისწინებულია უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლის დასახმარებელი წესები; სკოლის ხედვით კლასის დამრიგებელს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსწავლის ემოციურ და სოციალურ ადაპტაციაში. ადაპტაციის მექანიზმები დეტალურადაა გაწერილი გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საჭიროება (ახალი მოსწავლე, უცხოეთიდან დაბრუნებული, სსსმ მოსწავლე). ტრანზიციები ყველა საფეხურზე გაძლიერბულია (ბაღი-სკოლა-უნივერსიტეტი/პროფესიული). რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლესთან უზრუნველყოფს ცვლილებებზე დროულ რეაგირებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რაზეც მეტყველებს ის, რომ მოსწავლემ წინასწარ იცის, თუ რა კრიტერიუმებით იზომება მისი ნაშრომი, რა ქულობრივი წონა აქვს თვითოეულ კრიტერიუმს, ყველა მოსწავლისათვის შეფაზების რუბრიკა საერთოა, ხშირად ხდება თავად მოსწავლეების მიერ თვითშფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას გააჩნია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება ბრძანება N 2-12. შეფასების შემუშავებული სისტემა უზრუნველყოფს ვალიდაციის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპების მართებულ დანერგვას კურიკულუმის შეფასების და მონიტორინგის მიმართულებით. გამოყოფილია ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირებიც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობაზე, გამჭვირვალობაზე, სანდოობასა და ობიექტურობაზე. მოსწავლეები კარგად იცნობენ წარმოდგენილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის საგნებში, სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაზეც მოწმობს კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რამდენიმე რუბრიკის ნიმუში, რომლებიც უშუალოდ დავალების კრიტერიუმებს ეყრდნობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, თუმცა მისი გაუმჯობესება შესაძლებელია დამატებითი კონკრეტული მექანიზმების დანერგვით. ვალიდურობა ნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტი ზომავს სწორედ იმას, რისთვისაც არის შექმნილი. წარმოდგენილი რუბრიკები და დავალებები აფასებს იმ ცნებებს (ჟანრი, კომპოზიცია, კონტექსტი), რომლებიც კურიკულუმშია გათვალისწინებული. მაგალითად: განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა აფასებს ესეს, როგორც ჟანრს, და მის კომპოზიციას, რაც პირდაპირ უკავშირდება კურიკულუმის მიზნებს. მაგალითად, დებატებს ,,თორნიკე ერისთავის მისია - ხმალი თუ ჯვარი“ ფასდება ზეპირი მსჯელობა და არგუმენტაციის უნარი, რაც კურიკულუმითაც განსაზღვრულია. შეფასება გამჭვირვალეა, რადგან მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდებიან. ყველა დავალებას თან ერთვის დეტალური რუბრიკა, რომელშიც მითითებულია, თუ რა უნარ-ჩვევები და ცნებები შეფასდება. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თავად დაიგეგმონ მუშაობის პროცესი და გაიგონ, რა არის მათგან მოთხოვნილი. სანდოობა გულისხმობს, რომ შეფასება თანმიმდევრულია. ერთი და იმავე დავალების შეფასება სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა მასწავლებლის მიერ მსგავს შედეგს უნდა იძლეოდეს. რუბრიკების

	არსებობა, რომლებიც კონკრეტულ კრიტერიუმებსა და ქულებს ითვალისწინებს, ზრდის სანდოობას, რადგან შეფასების პროცესი ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე. შეფასება ობიექტურია, რადგან ის დაფუძნებულია არა მოსწავლის პიროვნებაზე, არამედ მისი ნამუშევრის ანალიზზე. რუბრიკები ქმნის ობიექტურ ჩარჩოს, სადაც თითოეული ელემენტი კონკრეტული კრიტერიუმებით ფასდება (მაგ., ენობრივი ნორმების დაცვა, არგუმენტაციის სიძლიერე). სამართლიანობას ხელს უწყობს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დანერგვა, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, აქტიურად ჩაერთონ შეფასების პროცესში და დაინახონ, რომ შეფასება თანაბრად ვრცელდება ყველა მათგანზე. ამრიგად, წარმოდგენილია შეფასების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია კომპლექსურ დავალებებზე, რუბრიკებსა და თვითშეფასებაზე. ის გამჭვირვალე და ობიექტურია, რადგან აშკარად განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს. თუმცა, მისი კიდევ უფრო გაძლიერებისთვის აუცილებელია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების დანერგვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა –** სახელმწიფო ენა - საბაზო და საშუალო საფეხური- სისტემა რომ იყოს სამართლიანი ყველა მოსწავლისთვის და ითვალისწინებდეს დიფერენცირებულ მიდგომებს, სასურველია, დაამატოთ მითითებები, თუ როგორ უნდა მოხდეს შეფასების კრიტერიუმების ადაპტირება სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შესაბამისად. ასევე, შექმენით დიფერენცირებული რუბრიკები, რომლებშიც ნათლად იქნება მოცემული, რა არის მინიმალური მოლოდინი, რა არის საშუალო და რა არის მაღალი დონე, რათა შეფასება იყოს სამართლიანი ყველა მოსწავლის მიმართ.
მათემატიკა	მათემატიკაში, სამივე საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

	შეფასების რუბრიკები გაზიარებულია კათედრაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლის კურიკულუმში განსაზღვრულია შეფასების რუბრიკებისა და მექანიზმების სამომავლო განხორციელება. აღწერის თანახმად, შეფასების პროცესი უნდა იყოს სანდო და სარწმუნო. ამის საფუძველზე, ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა გამოირჩევა ობიექტურობით. ინდიკატორები სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი და აღწერილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი; მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება , რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სკოლის შიგნით შეფასების პროცესის სანდოობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.

დებულებაში აღწერილია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები და უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი სკოლაში იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და სამართლიანი. ვერიფიკაციის მექანიზმები მოიცავს როგორც განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების სხვადასხვა ფორმის შემოწმებას, ასევე გამოყენებული ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების გადამოწმებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესის სანდოობისა და ობიექტურობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიურად, მოსწავლეთა ნამუშევრების სწორად შერჩეული ნიმუშის (20%) საფუძველზე, რაც ზრდის პროცედურის წარმომადგენლობითობას. სკოლამ განსაზღვრა პასუხისმგებელი სტრუქტურები: საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში დირექტორის მიერ შექმნილი კომისია. ასევე, რეგლამენტის მიხედვით, სკოლა ვალდებულია ვერიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მტკიცებულებები შეინახოს მინიმუმ სამი წლის ვადით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და შემდგომი ანალიზის შესაძლებლობას. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც მეთოდოლოგიურად გამართულია, კანონმდებლობასთან შესაბამისი და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება მოსწავლის პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება;

ელექტრონული ჟურნალი;
მოსწავლეთა პირადი საქმეები;
შეფასების რუბრიკები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე რესურსები აქტიურად გამოიყენება სწავლებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას საკლასო გარემოში, მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სკოლის ბიბლიოთეკას სახელმძღვანელოების და არსებული დამხმარე სასწავლო რესურსებით უზრუნველსაყოფად, სკოლის დარბაზს და სხვა სასკოლო სივრცეებს სასწავლო პროცესისთვის. დასტურდება სასწავლო პროექტორის და კომპიუტერების გამოყენება გაკვეთილის მსვლელობისას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმში მითითებულ ლინკებს ხშირად აჩვენებენ საკლასო ოთახში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია მაგალითები შედარებისთვის. დამხმარე რესურსების ნუსხა წარმოდგენილია კათედრის სხდომის ოქმის დანართში. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია გაკვეთილის მიზნების მისაღწევად მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ესთეტიკური აღზრდა	პედაგოგებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ისინი სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს. როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შეთავაზებულ და კათედრის მიერ შერჩეულ დამხმარე რესურსებს, სკოლის სასწავლო ინვენტარს. როგორც მტკიცებულებებზე დაყრდნობით ჩანს და თავად მასწავლებლებმაც აღნიშნეს შეხვედრის დროს, ხშირია სასწავლო მიზნებისთვის თავად მოსწავლეების შექმნილი რესურსების გამოყენებაც (მაგ. ელ. პრეზენტაცია, ვიდეორგოლი, საინფორმაციო ხასიათის პოსტერი/პლაკატი და ა.შ.); **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. წარმოდგენილ კურიკულუმებში (მე-5-დან მე-12 კლასამდე) ცალკე სვეტშია მითითებული „რესურსები“. ამ ჩამონათვალში შედის: ○ ძირითადი სახელმძღვანელოები: მაგალითად, მე-5 კლასის კურიკულუმში მითითებულია „ქართული ენა და ლიტერატურა“ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის, ხოლო მე-8 კლასში „სწავლანის“ გამომცემლობის სახელმძღვანელო. ○ ელექტრონული რესურსები: თითქმის ყველა კურიკულუმში მოცემულია Youtube-ის ბმულები, ტელესკოლის გაკვეთილები და ელექტრონული წიგნები. ○ დამატებითი ლიტერატურა: მაგალითად, მე-7 კლასში მითითებულია გოდერძი ჩოხელის „მგელი“, ხოლო მე-10 კლასში გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“. ეს ჩამონათვალი მიუთითებს, რომ სკოლა აპირებს ამ რესურსების გამოყენებას. კურიკულუმები აღწერს, არა მხოლოდ რა რესურსები გამოიყენება, არამედ რა კონტექსტში გამოიყენება ისინი. მაგალითად: ○ მე-8 კლასი: დავალება ეკოლოგიურ პრობლემებზე გიორგი ლეონიძის „თუთის ხესთან“ მიხედვით. აქ გამოყენებულია როგორც ძირითადი ტექსტი, ისე ტელესკოლის გაკვეთილი „აფხაზური კანტატა“, რაც აჩვენებს, რომ მასწავლებელი აკავშირებს სხვადასხვა რესურსებს თემატურად. ○ მე-9 კლასი: პუბლიკაციის მომზადება ილია ჭავჭავაძის „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ მიხედვით. რესურსად მითითებულია როგორც ტექსტი, ისე აუდიოჩანაწერი, რომელსაც გურამ საღარაძე კითხულობს. ეს გვიჩვენებს, რომ

	მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა ფორმატის რესურსს ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად. ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ეს გამოიხატება როგორც თავად კურიკულუმებში არსებული რესურსების სიებში, ისე კომპლექსური დავალებებისა და პროექტების აღწერებში, სადაც ეს რესურსები კონკრეტულ აქტივობებს ემსახურება. ასეთი თანმიმდევრულობა და ინტეგრაცია მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი მიზანმიმართულად არის დაგეგმილი და ეფექტურად იყენებს არსებულ რესურსებს სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა** – სახელმწიფო ენა - საბაზო და საშუალო საფეხური-მიუხედავად იმისა, რომ YouTube ვიდეოები კარგი დამხმარე რესურსია, სასურველია, დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა განსხვავებული სწავლის სტილები და ინტერესები. მაგალითად: ინტერაქტიული სავარჯიშოები: ენობრივი და ლიტერატურული მასალის გასამყარებლად. პოდკასტები/აუდიოწიგნები: განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების ან მათი ანალიზებისთვის. ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები: თუ შესაძლებელია ნაწარმოებებთან ან ავტორებთან დაკავშირებული ადგილების ვირტუალური მონახულება (მაგალითად, მწერლის სახლ-მუზეუმები). სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები: ლიტერატურულ კონტექსტზე და კონკრეტულ თემებზე ცოდნის გასაღრმავებლად.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, ძირითადი რესურსი არის სახელმძღვანელო, ასევე მითითებულია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ math.ge-ს რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბანკს და უზიარებენ ერთმანეთს

	ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	მოწოდებული დოკუმენტებიდან ჩანს, სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება მოსწავლეებისადმი მრავალფეროვანი მიდგომები, პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის სხვადასხვა გზების ძიება. სკოლაში სწავლებისას ძირითადი ყურადღება ეთმობა ისეთი სასწავლო რესურსებისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარებისა და ჩვევების განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, გამოიყენონ შეძენილი ტექნოლოგიური აზროვნების უნარები. ამის დასტურია მოსწავლეების ნამუშევრები და განხორციელებული აქტივობები. ინდიკატორები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა** - სასურველია დაწყებითი საფეხურის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველბა, მე და საზოგადოება) კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების გადასინჯვისას მოხდა სასწავლო რესურსების ვალიდაცია-დამოწმება/დადასტყრება შესაბამისობით განსაზღვრულ კრიტ/სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების 2024-2025 სასწავლო წლის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები დამტკიცებულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ მასში წარმოდგენილი ლინკებით, დამატებითი რესურსების ჩამონათვალით. მასწავლებლების მხრიდან გამოიკვეთა რესურსების შერჩევის პროცესში თანამშრომლობითი პრაქტიკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	დამხმარე რესურსების შერჩევისას კათედრა მოქმედებს შეთანხმებულად. უზრუნველყოფილია დამხამრე რესურსების ისე შერჩევა, რომ ისინი შესაბამისი იყოს ესგ მიზნებისა. კათედრის სხდომის ოქმით წარმოდგენილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	შესწავლის საფუძველზე კურიკულუმებში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტით დადგენილ მისაღწევ შედეგებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში ჩამოთვლილი დამხმარე რესურსები (ფილმები, ვიდეოები, დამატებითი ლიტერატურა) პირდაპირ უკავშირდება სასწავლო თემებსა და მიზნებს. გამოყენებული რესურსები უმეტესად სანდო წყაროებიდან არის აღებული. მაგალითად: ტელესკოლის გაკვეთილები (საქართველოს განათლების სამინისტროს ოფიციალური პროექტი). მხატვრული ფილმები, რომლებიც კლასიკურ ნაწარმოებებს ეფუძნება. ცნობილი ავტორების (მაგ., გოდერძი ჩოხელი, გურამ დოჩანაშვილი) ნაწარმოებების გამოყენება. ეს მიუთითებს, რომ სკოლა/მასწავლებელი ერიდება საეჭვო ან დაუდასტურებელ წყაროებს და უპირატესობას ანიჭებს აკადემიურად სანდო რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

	რჩევა -სახელმწიფო ენა- საბაზო და საშუალო საფეხური-სასურველია, გაიწეროს დამხმარე რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის პროცედურა. მაგალითად: შექმენით სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს ახალ დამხმარე რესურსებს; განსაზღვრეთ ვალიდაციის კრიტერიუმები (მაგ., შესაბამისობა ესგ-სთან, ავტორიტეტულობა, ტექნიკური გამართულობა, ინკლუზიურობის პრინციპების დაცვა). სასურველია, დანერგოთ პრაქტიკა, რომლითაც მასწავლებლებს (და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებსაც) შეეძლებათ უკუკავშირის მიცემა გამოყენებული რესურსების შესახებ, რათა მათი ეფექტურობა მუდმივად გაუმჯობესდეს. ამგვარი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დამხმარე რესურსების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ისინი მართლაც ეფექტურად ემსახურონ სასწავლო მიზნებს.
მათემატიკა	კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები შეთანხმებულია კათედრაზე და შერჩეულია ისეთი მიზნობრივი რესურსები, რომლებიც უკვე გამოიყენეს და ნახეს მათი ეფექტუობა, ისინი იყენებენ ისეთ დამხმარე რესურსებს, რომლების რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ ტესტირებას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანი, აქტუალური და მოსწავლეებისთვის გასაგებია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა,ქიმია, ბიოლოგია)ლაბორატორიები,აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით.რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ლაბორატოტიულ ჩართულობას სწავლების პროცესში. ქიმიის ლაბორატორია აღჟურვილია თანამედროვე სტანდარტით:დაცულია უსაფრთხოვების ნორმები. ლაბორატორია შევსებულია სასწავლო პროცესისთვის საკმარისი რეაგენტებითა და ქიმიური ჭურჭელით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას საკლასო გარემოში, მასწავლებლები იყენებენ სკოლის ბიბლიოთეკას, სკოლის დარბაზს და სხვა სასკოლო სივრცეებს სასწავლო პროცესისთვის. დასტურდება სასწავლო პროექტორის და კომპიუტერების გამოყენება სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობებში. მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა კლასებში გადაჭარბებული არ არის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით. სივრცე ათვისებულია გონივრულად. მოსწავლეებს გააჩნიათ ძირითადი და აუცილებელი სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რათა კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწეულ იქნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმების, სასწავლო პროექტის, შეფასების რუბრიკებისა და თვითშეფასების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსების ჩამონათვალი არის მტკიცებულება იმისა, რომ სკოლას აქვს გეგმა, თუ რა მატერიალური და არამატერიალური რესურსები გამოიყენოს სწავლის შედეგების მისაღწევად. ამ რესურსების ჩართვა სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მიუთითებს, რომ სკოლა თვლის მათ საკმარისად და შესაბამისად. ამრიგად, კურიკულუმებში დეტალური რესურსების ჩამონათვლითა და დავალებების ტიპების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე, რესურსებს, რომლებიც აქვთ შექმნილი ან შეძენილი,იყენებს სხვადასხვა მასწავლებელი. მათ აღნიშნეს, რომ ყველა მოსწავლისთვის არის თანაბარი შესაძლებლობა, რომ ჩართული იყვნენ საგაკვეთილო პროცესში. გამოიკვეთა თანამშრომლობითი გარემო და იგრძნობოდა, რომ რესურსების, ასევე გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა დანერგილია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვენტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლა ხელს უწყობს სასწავლო პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, გამოიყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსებს და ითვალისწინებს მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ადგილების შეზღუდულ რაოდენობას. ამ მიზნით, სკოლა აღჭურვილია თანამედროვე საკლასო ოთახებით, ლაბორატორიებითა და ციფრული ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სწავლის მიზნებს. ინტერვიუს მიხედვით, სკოლა მალე მიიღებს დამატებით კომპიუტერულ აღჭურვილობას, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სკოლის საჭიროებებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა** –დაწყებით საფეხურის შემდეგ საგნებში - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგაოება სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო),

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს 22 მასწავლებელი, რომელთაგანაც 15 უფროსი, ხოლო 5 წამყვანი მასწავლებელია, ასევე სპეციალური და დამხმარე მასწავლებლები. ექსპერთა ვიზიტის დროს შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელიც წარმოდგენილი იყო სრულყოფილად და აკმაყოფილებდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. ყველა თანამშრომელთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებები.

5. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრების სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული დავალებების ამსახველი მასალა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- განათლების მართვის საინფორმაციო ბაზა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დებულება, რომელიც მოიცავს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განახლების პროცესებს.

დოკუმენტი ხაზგასმით მიუთითებს, რომ კურიკულუმი არის მუდმივად **განახლებადი პროცესი**, რომელიც ეფუძნება წინა წლის შედეგების ანალიზს, მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტში გვხვდება კურიკულუმის განვითარების ძირითად ეტაპები:

- **დაგეგმვა და შემუშავება** – წინა წლის კურიკულუმის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით;
- **დანერგვა** – სასკოლო პრაქტიკაში რეალური მოქმედებების განხორციელება და შედეგების აღწერა სამ დონეზე (მოსწავლე, მასწავლებელი, სკოლა);
- **მონიტორინგი და შეფასება** – პროგრესის, სუსტ და ძლიერ მხარეთა იდენტიფიკაცია;
- **გადასინჯვა და რევიზია** – მიღებული გამოცდილებისა და მონაცემების საფუძველზე ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის განსაზღვრა.

ასეთი ციკლურობა გვიჩვენებს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ინტეგრირებას **კურიკულუმის განვითარებაში**.

დოკუმენტში ასევე გაწერილია პასუხისმგებელი მხარეები: **დირექცია, მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები**, ასევე მშობლები და მოსწავლეები, რომლებიც უკუკავშირის სხვადასხვა ფორმით ჩართულნი არიან შეფასებისა და ანალიზის პროცესში.

დებულებით წარმოდგენილი მუხლებით დასტურდება, რომ სკოლაში **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**. დებულება უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და სიმყარეს, აკავშირებს მას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დებულებაში მონიტორინგი და შეფასება განიხილება როგორც **კურიკულუმის განვითარების ციკლის აუცილებელი ნაწილი**. დოკუმენტი მიუთითებს, რომ ყოველ სასწავლო წელს ახალი კურიკულუმი იქმნება/შეიქმნება წინა წლის ანალიზისა და შედეგების შეფასების საფუძველზე პროცესის ეტაპები – **შესწავლა, დანერგვა, მონიტორინგი/შეფასება და გადასინჯვა** – პირდაპირ ხაზს უსვამს იმას, რომ შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზები და მიღებული გამოცდილება გარდაიქმნება მომდევნო ნაბიჯებად და გაუმჯობესების საფუძვლად. ექსპერტთა მიერ ადგილზე ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან ინტერვიურებით ნათლად ჩანდა ის განვლილი პროცესები და ყოველდღიური რუტინა, რომელიც სასკოლო საზოგადოებამ გაიარა თვითშეფასებამდე და ავტორიზაციის პროცედურებამდე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

ექსპერტთა ვიზიტის დროს მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. სხვადასხვა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს და დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში ხდება გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის მიცემა, რეკომენდაციების განხორციელება. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია არა დასჯა-წახალისებად, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დებულებაში გაწერილია, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველი არის **კომპლექსური ანალიზი.** კერძოდ- შეფასება ეფუძნება როგორც **რეფლექსიურ პროცესს,** ასევე **სტატისტიკურ მონაცემებს** (შესწავლილი საფეხურების შედეგები, საგნობრივი მიღწევები, მასწავლებლის დაკვირვება). ეს მიუთითებს მრავალწყაროიანობაზე, ხოლო ,,*შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება" კი* ასახავს მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას. მაგალითად, ესე, პრეზენტაცია, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, და სხვ. გამოყენებულია როგორც საგნობრივი დავალებები, ასევე კრიტერიუმები: ობიექტურობა, ვალიდურობა, სანდოობა. დოკუმენტში აშკარად ჩანს მრავალწყაროიან შეფასებაზე ორიენტაცია – აქცენტი არის არა ერთ მეთოდზე, არამედ კომბინირებულ ინსტრუმენტებზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის 2024–2025 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა შეფასებას განიხილავს არა მხოლოდ როგორც ქულების დადგენის მექანიზმს, არამედ როგორც სწავლა–სწავლების ხარისხის მართვისთვის აუცილებელ სისტემას. დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით კერძოდ, მოსწავლის აკადემიური შედეგების პარალელურად გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები, სასკოლო პროგრამა, სასწავლო გარემო, ხელმისაწვდომი რესურსები და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროება. სკოლა იყენებს მრავალფეროვან ფორმებს – ესეს, პროექტს, ლაბორატორიულ კვლევას, პრეზენტაციას, დისკუსიასა და სხვა აქტივობებს, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა ინტერესებისა და უნარების მქონე მოსწავლეებს წარმოჩინონ საკუთარი მიღწევები. ამასთან, გათვალისწინებულია გაცდენილი დავალებების ალტერნატიული შესრულების შესაძლებლობა, რაც პროცესში მოქნილობას ზრდის. დოკუმენტი ასევე აღიარებს ისეთ კონტექსტებს, როგორიცაა მოსწავლისა და მისი გარემოს ინკლუზიურობა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა და ადაპტაციის შესაძლებლობა. ეს მიუთითებს, რომ შეფასების სისტემა არ არის ერთგვაროვანი, არამედ ცდილობს მოერგოს სხვადასხვა საჭიროებას. მნიშვნელოვანია დიაგნოსტიკურ წერის ნაწილი, სადაც შეფასება გამოიყენება პროგრესის სუსტი მხარეების გამოვლენა ინსტრუმენტი, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარებისთვის მიზანმიმართული ხედვის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავენ მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით. ასევე გეგმავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას საკლასო წერის ინსტრუმენტის გამოყენებით. სკოლის თვითშეფასებიდან და დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ასევე კურიკულუმებში ჩანს ის შუალედური პროდუქტები, რომელიც იძლევა მრავალფეროვანი შეფასების საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მულტიფაქტორულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ყურადღებას უთმობენ არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებსაც. პედაგოგების პრაქტიკა, რომლებიც მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ კომპლექსურ, მრავალმხრივ ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგები ადგენენ მოსწავლის დიფერენცირებულ პროფილს, რაც გულისხმობს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებასა და ამ უნარებზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს მაქსიმალურად ინდივიდუალიზებული და ასახავდეს მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და განვითარების დონის სრულ სურათს. გარდა ამისა, მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ როგორც დროით, ისე სივრცით პარამეტრებს, ეს ნიშნავს, რომ თითოეული შედეგი განიხილება იმ მრავალფეროვანი ფაქტორების კონტექსტში, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს მოსწავლის აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაზე. შესაბამისად, შეფასების პროცესი ხდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას. მოცემული მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის შეფასების სიზუსტესა და სანდოობას, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული და აკადემიური პროგრესის სრულფასოვან ანალიზს და ქმნის საფუძველს მიზანმიმართული პედაგოგიური ინტერვენციებისთვის. გასათვალისიწინებელია, რომ სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და მასწავლებელებს აქვთ საშუალება ზემოაღნიშნული პროცესები წარმართონ ნაკლები რისკებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;
ვერიფიკაციის დებულება;

კურიკულუმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“ მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მხარდაჭერას. დოკუმენტი სტრუქტურულად გამართულია, რადგან მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, კონკრეტულ აქტივობებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ინდიკატორებს. ეს ფორმატი თავისთავად ქმნის იმ „საჭიროებათა პაკეტის“ საფუძველს, რომელიც სკოლას საშუალებას აძლევს სისტემატურად გააანალიზოს არსებული გამოწვევები და დაგეგმოს მიზანმიმართული ინტერვენციები კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. მაგალითად, გეგმაში აშკარად იკვეთება კურიკულუმზე

ორიენტაცია, რადგან გაწერილია ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისკენ. აქტივობები მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ და სოციალურ მიმართულებებს, რაც კომპლექსურ მიდგომაზე მიუთითებს. ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს დამატებითი რესურსების (ტრენინგები, პროექტები) გამოყენებას სუსტი მხარეების გასაძლიერებლად, რაც მხარდაჭერის პაკეტის პრინციპს ეფუძნება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გარკვეულწილად ასახავს სკოლის მცდელობას, წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით შეადგინოს ახალ სასწავლო წლის შესაბამისი საქმიანობები. დოკუმენტში მოცემული აქტივობები და მათი განხორციელების ვადები ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ სკოლა შეძლოს წინსვლისა და გამოწვევების გაანალიზება. გათვალისწინებულია მონიტორინგის მექანიზმი: აქტივობებს ახლავს ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და განმახორციელებელი სტრუქტურები. ეს უქმნის წინაპირობას, რომ დაგეგმილი სამუშაოები შეფასდეს და მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნას შემდგომი კურიკულუმის პრაქტიკაში. მასწავლებელებთან და სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით ჩანს, რომ მომდევნო სასწავლო წელი ემყარება წინა სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებს. საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და სხვა სტრუქტურული ერთეულები სისტემატურად აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს, აიდენტიფიცირებენ როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს და ამ ანალიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს კურიკულუმის განახლების ან ცვლილებების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
სასკოლო სასწავლო გეგმა.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 08.10.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - ციალა გაგნიძე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი - ნინო ხუტილაშვილი

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი - ხათუნა საყვარელიძე

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი - მარგარიტა ჯიქია

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი - ეკატერინე ხუციშვილი

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი - გიორგი ტაბუცაძე

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი - თინათინ გიორგაძე

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი - თეონა აბრამიშვილი

სპორტის საგნობრივი ექსპერტი - კობა დეკანაძე

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი - ეკატერინე კვირკველია